

ახალგაზრდები საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო
აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

ფრენკ ილენსი



2017

ახალგაზრდები საქართველოში

*2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო
აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა*

ფრენკ ილენსი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

2017
თბილისი

ახალგაზრდები საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

ავტორი: ფრენკ ილენსი

ფრენკ ილენსმა (დაბ. 01.05.1954 წ.) მოღვაწეობა 1984 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში მოიპოვა დოქტორის ხარისხი დემოგრაფიაში. მისი სადისერტაციო ნაშრომი იკვლევს ძუძუთი კვების ხანგრძლივობის გავლენას ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა მოკვდაობაზე საჭარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნების ტერიტორიაზე. ის უკვე 30 წელზე მეტია ჩართულია მთელ რიგ პროექტებში, რომლებიც ეხება მოსახლეობასა და განვითარებას. მისი სამუშაო ძირითადად მოიცავს ტექნიკური დახმარების გაწევას ფართომასშტაბიანი, დემოგრაფიული კვლევითი პროექტების (მოსახლეობის აღწერისა და კვლევების) ყველა ასპექტში, ტრენინგების წარმართვასა და ინსტიტუციონალური განვითარების უზრუნველყოფას. 1987 წელს, ფრენკ ილენსმა მოღვაწეობა დაიწყო ჰააგაში, ნიდერლანდების დისციპლინათაშორისი დემოგრაფიული კვლევის ინსტიტუტში (NIDI). იგი გახდა მოსახლეობისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი და მუშაობდა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა სოლომონის კუნძულები, იემენი, სენეგალი, ბანგლადეში და მალი. 1990 - 1995 წლებში იგი მუშაობდა არუბაში (ნიდერლანდების ტერიტორია კარიბის ზღვაში), სადაც ტექნიკურ დახმარებას უწევდა 1991 წლის მოსახლეობის აღწერასა და იყო არუბის სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს რეორგანიზაციის პროცესის კოორდინატორი. 1998 წელს, ის დაბრუნდა არუბაში, 2000 და 2010 წლების მოსახლეობის აღწერაში დახმარების გასაწევად. 2012 წლიდან, ფრენკ ილენსი მოღვაწეობს, როგორც დამოუკიდებელი კონსულტანტი. უკანასკნელ წლებში იგი ჩართული იყო ავღანეთში, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ალბანეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მიანმაში, ტაჯიკეთში, ჩინეთსა და კენიაში წარმოებულ პროექტებში.

ტექსტის რედაქტორი: თეა მაისურაძე

ინგლისურიდან ტექსტი თარგმნა: მაია გვიტიძემ

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთობლივი პროექტის ფარგლებში "სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში", რომელიც დაფინანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) შეხედულებებს. აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას გამოცემაში არსებულ შესაძლო უზუსტობებზე.

გამოცემის ელექტრონული ვერსია იხილეთ:

პუბლიკაცია დაბეჭდილია შპს ვესტა-ს მიერ <http://georgia.unfpa.org>

სარჩევი

სარჩევი	iii
გრაფიკები	v
ცხრილები	vii
რუკები	vii
წინასიტყვაობა	viii
მადლობა	viii
შემოკლებები	ix
საქართველოს ადმინისტრაციული რუკა	x
ძირითადი მიგნებები	xi
შესავალი	1
1. ახალგაზრდები საქართველოში	7
1.1 ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები	7
1.2 სხვაობები რეგიონებს შორის	9
1.3 საქალაქო და სასოფლო დაახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები	13
1.4 სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა	14
1.5 დამოკიდებულების კოეფიციენტი	16
1.6 ეთნიკურობა	19
1.7 აღმსარებლობა	20
1.8 მობილობა	21
2. ქორწინება, შობადობა და შინამეურნეობის სტრუქტურა	24
2.1 ქორწინების სახეები	24
2.2 რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებები	27
2.3 ადრეული ქორწინება	30
2.4 შობადობა	33
2.5 შინამეურნეობის შემადგენლობა	37
3. განათლება	40
3.1 სკოლაში (გაკვეთილებზე) დასწრება	40
3.2 სკოლაში სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	41
3.3 სასწავლო პროცესში მონაწილეობა, დაწესებულების ტიპის მიხედვით	44
3.4 განათლების მიღწეული დონე	46
4. ახალგაზრდები და სამუშაო ძალა	50
4.1 ეკონომიკური აქტიურობა	50
4.2 უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის	52
4.3 დასაქმების სფეროები	57
5. მოწყვლადი ჯგუფები	61

5.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	61
5.2 ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები	64
5.3 ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არის დასაქმებულები და არ გადიან ტრეინინგს/წრთვნას (NEET)	65
6. დასკვნა	68
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა	70

გრაფიკები

გრაფიკი 1.1: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	7
გრაფიკი 1.2: 15 - 29 წლის ახალგაზრდები, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; 2002-2014 წლები	8
გრაფიკი 1.3: მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა, 15 - 29 წლის ახალგაზრდები	8
გრაფიკი 1.4: ახალგაზრდების რაოდენობა საქართველოში	9
გრაფიკი 1.5: საქართველოს რეგიონები, 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ჭრილში	10
გრაფიკი 1.6: საქართველოს რეგიონები, მიგრაცია და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	10
გრაფიკი 1.7: 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	13
გრაფიკი 1.8: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ასაკის მიხედვით (0 - 29 წლის ასაკობრივი ჯგუფში)	14
გრაფიკი 1.9: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდებში	15
გრაფიკი 1.10: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	15
გრაფიკი 1.11: ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი, საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში	17
გრაფიკი 1.12: ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2015 წელი	18
გრაფიკი 1.13: დამოკიდებულების კოეფიციენტი	18
გრაფიკი 1.14: 15 - 24 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით	19
გრაფიკი 1.15: 15 - 29 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით	20
გრაფიკი 1.16: ბოლო 5 წლის პერიოდში სხვა დასახლებებიდან გადაადგილებული მოსახლეობა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	22
გრაფიკი 1.17: ბოლო 5 წლის პერიოდში სხვა ქვეყნებიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული მოსახლეობა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	22
გრაფიკი 2.1: 15 - 29 წლის ასაკის მამაკაცების ქორწინებითი მდგომარეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	25
გრაფიკი 2.2: 15 - 29 წლის ასაკის ქალების ქორწინებითი მდგომარეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	25
გრაფიკი 2.3: 15 - 29 წლის ქორწინებაში მყოფი და ქორწინებაში არასდროს მყოფი მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით	27
გრაფიკი 2.4: 15 - 29 წლის ასაკის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, ვინც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	27
გრაფიკი 2.5: 15 - 29 წლის ასაკის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, სქესის მიხედვით	28
გრაფიკი 2.6: 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა, ასაკის, სქესისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით	29
გრაფიკი 2.7: ქორწინებაში მყოფი 15-18 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	31
გრაფიკი 2.8: რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებები 15-18 წლის მოსახლეობაში, სქესის მიხედვით	32

გრაფიკი 2.9: ქორწინებაში მყოფი 15 - 18 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი რეგიონების მიხედვით	33
გრაფიკი 2.10: ქალების პროცენტული წილი, ცოცხლადშობილი ბავშვების რაოდენობისა და დედის ასაკის მიხედვით	34
გრაფიკი 2.11: მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი (შობადობა ყოველ 1,000 15-19 წლის ქალზე); საქართველო და შავიზღვისპირეთის სხვა ქვეყნები	35
გრაფიკი 2.12: დედის პირობითი საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას, ქალების მახასიათებლების მიხედვით	37
გრაფიკი 2.13: 0 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდები, შინამეურნეობაში მშობლებთან ერთად ცხოვრების ტრილში	38
გრაფიკი 2.14: 15 - 29 წლის ასაკის მართო მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი, სქესის მიხედვით	39
გრაფიკი 2.15: 0 - 29 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი შინამეურნეობის ტიპების მიხედვით	39
გრაფიკი 3.1: წმინდა დასწრების კოეფიციენტი, განათლების საფეხურისა და სქესის მიხედვით	42
გრაფიკი 3.2: დასწრების კოეფიციენტი, სქესისა და ასაკის მიხედვით	42
გრაფიკი 3.3: სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა, სქესისა და ასაკის მიხედვით (6, 10, 15 და 20 წლის პირებისთვის)	43
გრაფიკი 3.4: ქვეყნების შედარება სკოლაში სწავლის ხანგრძლივობის მიხედვით; დაწყებითი განათლებიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით	44
გრაფიკი 3.5: 15 - 24 წლის ასაკის მოსწავლე/სტუდენტი ახალგაზრდები საქართველოში, სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით	45
გრაფიკი 3.6: საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბმული 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდები საქართველოში, სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით	45
გრაფიკი 3.7: მოსახლეობის რიცხოვნობა, განათლების მიღწეული დონის მიხედვით (25-29 წლის ასაკის მოსახლეობისა და 30-74 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის)	47
გრაფიკი 3.8: უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი, სქესისა და ასაკის მიხედვით	47
გრაფიკი 3.9: პროფესიული განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი, სქესისა და ასაკის მიხედვით	48
გრაფიკი 3.10: საქალაქო დასახლებებში მცხოვრები, 25 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით	49
გრაფიკი 3.11: სასოფლო დასახლებებში მცხოვრები, 25 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით	49
გრაფიკი 4.1: მოსახლეობის რიცხოვნობა, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისა და ეკონომიკური აქტიურობის სტატუსის მიხედვით	50
გრაფიკი 4.2: ეკონომიკური აქტიურობა ასაკისა და სქესის მიხედვით	51
გრაფიკი 4.3: 15 - 29 წლის ასაკის მოსახლეობა ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით	52
გრაფიკი 4.4: უმუშევრობის დონე, ასაკისა და სქესის მიხედვით	54
გრაფიკი 4.5: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში (15 - 24 წლის ასაკობრივი ჯგუფი); საქართველოს მეზობელი ქვეყნების მონაცემები ¹⁴	54
გრაფიკი 4.6: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში (15 - 29 წლის ასაკობრივი ჯგუფი), საქართველოს რეგიონების მიხედვით	55
გრაფიკი 4.7: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში (15 - 29 წლის ასაკობრივი ჯგუფი), განათლების მიღწეული დონის მიხედვით	57
გრაფიკი 4.8: 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების დასაქმების 10 ყველზე გავრცელებული სფერო	58
გრაფიკი 4.9: დასაქმების 10 ყველზე გავრცელებული სფერო, რომელშიც დასაქმებული ქალების წილი აღემატება მამაკაცების წილს (15 - 29 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის)	60

გრაფიკი 4.10: 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილი კონკრეტულ სფეროში დასაქმებულ პირთა მთლიან რაოდენობაში	60
გრაფიკი 5.1: კითხვები შეზღუდული შესაძლებლობების თაობაზე	62
გრაფიკი 5.2ა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამაკაცების პროცენტული წილი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა/დარღვევა)	63
გრაფიკი 5.2ბ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების პროცენტული წილი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა/დარღვევა)	63
ლტოლვილის/დევნილის სტატუსთან დაკავშირებული კითხვები	64
გრაფიკი 5.3: საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების კუთხით იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების პროცენტული წილი, განათლების საფეხურის მიხედვით	65
გრაფიკი 5.4: იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), სქესისა და ასაკის მიხედვით	66
გრაფიკი 5.5: იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით	67

ცხრილები

ცხრილი 1.1: საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების რაოდენობა, ასაკისა და სქესის მიხედვით	13
ცხრილი 1.2: რელიგიური კუთვნილება, ასაკისა და სქესის მიხედვით	21
ცხრილი 4.1: უმუშევარ პირთა რაოდენობა 15 – 29 წლისა და 15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, სქესის მიხედვით	53
ცხრილი 4.2: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში, ასაკობრივი ჯგუფების, სქესისა და რეგიონების მიხედვით	56
ცხრილი 5.1: შეზღუდული შესაძლებლობები შეზღუდვის კატეგორიისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	62
ცხრილი 5.2: 15 – 29 წლის ასაკის იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა საქართველოში, ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით	64

რუკები

რუკა 1.1: 15 – 29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი რეგიონების მიხედვით	11
რუკა 1.2: 15 – 29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით	12

წინასიტყვაობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი წარმოგიდგინთ 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნილ მონოგრაფიას სახელწოდებით: „ახალგაზრდები საქართველოში - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა“.

2014 წლის აღწერის შედეგად მიღებულ იქნა უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, არსებობის

საშუალებათა წყაროების, საცხოვრისების და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით მონოგრაფია: „ახალგაზრდები საქართველოში“ შეისწავლის საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობას და ავლენს მათ წინაშე მდგარ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

წინამდებარე მონოგრაფია არის გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის მოსახლეობის დინამიკის მონაცემებზე დაყრდნობით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესის ხელშეწყობისთვის.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა მსურს მადლობა გადავუხადო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს თანადგომისთვის და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია ბ-ნი თენგიზ ცეკვაძას, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის და ბ-ნი პაატა შავიშვილის, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსის სრული მხარდაჭერა და ღრმა წვლილი მონაცემებზე მუშაობისას. განსაკუთრებულ და უღრმეს მადლობას ვუხდით მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს - ქ-ნ შორენა წიკლაურს წინამდებარე მონოგრაფიის შესაქმენლად აუცილებელი ინფორმაციის მოწოდებისათვის, მონაცემების დამუშავების საქმეში გაწეული დაუღალავი შრომისთვის

და პროფესიონალიზმისთვის.

ასევე დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი და გამოვყო ფონდის ხელმძღვანელის, ქ-ნი ლელა ბაქრაძისა და პროგრამის თანაშემწის ქ-ნი ანა ცქიტიშვილის უწყვეტი მხარდაჭერა.

მონოგრაფიის წერის პროცესში, ასევე მქონდა პატივი მემუშავა გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მრჩეველთან მოსახლეობისა და განვითარების საკითხებში, ბ-ნ ედუარდ იონგსტრასთან. მსურს მადლობა გადავუხადო მას მნიშვნელოვანი და ღირებული მხარდაჭერისათვის.

შემოკლებები

CDC	დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
DRH/CDC	რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
GAR	სკოლაში დასწრების მთლიანი კოეფიციენტი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISCO	დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი
MAFB	დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას
MoLHSA	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NEET	ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული
PSA	მოსახლეობის სიტუაციური ანალიზი
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SMAFB	დედის პირობითი საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას
SMAM	ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი
TFR	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
UNDESA	გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
UNESCO	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNHCR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UNICEF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WG	ვაშინგტონის ჯგუფი
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (იგივე ჯანმო)
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
იგპ	იძულებით გადაადგილებული პირები
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შშმპ	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

ძირითადი მიგნებები

ახალგაზრდები საქართველოში

- 2014 წელს, საქართველოს მოსახლეობის დაახლ. 21 პროცენტს (770 809 პირი) შეადგენდნენ 15-29 წლის ახალგაზრდები, მათ შორის 492 147 პირი მიეკუთვნებოდა 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფს.
- 2002 წელს აღრიცხული, 15-29 წლის ახალგაზრდების რაოდენობა 995 000-დან 771 000-მდე შემცირდა 2014 წლისთვის.
- საქართველოში მცხოვრები 15-29 წლის ახალგაზრდების (სულ 770 809) 60 პროცენტი (461 383) ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში, ხოლო 40 პროცენტი (309 426 ახალგაზრდა) ცხოვრობს სასოფლო დასახლებებში.
- 2014 წელს, 15 წლის ახალგაზრდებს შორის – ყოველ 100 ქალზე მოდიოდა დაახლ. 113,6 მამაკაცი; 20 წლის ახალგაზრდებს შორის – ყოველ 100 ქალზე მოდიოდა დაახლ. 107,6 მამაკაცი და 27 წლის ახალგაზრდებს შორის – ყოველ 100 ქალზე მოდიოდა დაახლ. 102 მამაკაცი. 22 წლის და უფროსი ასაკის ახალგაზრდებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა უთანაბრდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ბუნებრივ ნორმას.
- 15-29 წლის ახალგაზრდების 83 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანია.
- გასული 5 წლის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მეტმა ახალგაზრდამ გამოიყვალა საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ფარგლებში.

ქორწინება, შობადობა და შინამეურნეობის სტრუქტურა

- მოსახლეობის უმრავლესობა ქორწინდება 25-29 წლის ასაკში; მამაკაცების 53,6 და ქალების 72,4 პროცენტი დაქორწინებულია.
- როგორც რეგისტრირებული, ასევე არარეგისტრირებული ქორწინებისას ქალების საშუალო ასაკი 22,9 წელს, ხოლო

მამაკაცების ასაკი – 27,5 წელს შეადგენს.

- ახალგაზრდების უმრავლესობა ან პარტნიორის გარეშე ცხოვრობს ან ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება; ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს პარტნიორთან, რომელთანაც არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში.
- ადრეულ ასაკში ქორწინების (რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული) შემთხვევათა დიდი უმრავლესობა მოდის გოგონებზე. 15-18 წლამდე ასაკის გოგონებში ქორწინების შემთხვევათა უმრავლესობას ადგილი აქვს სასოფლო დასახლებებში.
- მოსახლეობის აღწერის პერიოდში 15 წლის გოგონების მხოლოდ 0,7 პროცენტს ჰყავდა ერთი შვილი. ამასთან, აღწერის დროს შობადობის თაობაზე გამოკითხული იყვნენ 15 წლისა და უფროსი ასაკის გოგონები და ქალები. 15 წლის ასაკის გოგონების წილი, ვისაც ბავშვი ჰყავთ გაჩენილი ძალიან დაბალია, რაც დასტურია იმისა, რომ 15 წლამდე ასაკის გოგონებში შობადობა ძალიან დაბალია.
- დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას შეადგენს 26,3 წელს.

განათლება

- 15-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ყოველი ოთხი ახალგაზრდიდან დაახლ. სამი იღებდა საშუალო განათლებას; 18-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში ახალგაზრდების 34,8 პროცენტი სწავლობდა უნივერსიტეტებში, ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად; ხოლო 22-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდების 3 პროცენტი აგრძელებდა სწავლას უმაღლესი განათლების დაწესებულებაში, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.
- სტუდენტებს შორის ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას.
- 7-13 წლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდების 99 პროცენტი სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში; 14 წლის ასაკის მოზარდებში სკოლაში დასწრების

კოეფიციენტი არის 98,8 პროცენტი; ხოლო 18 წლის ასაკის მოზარდების მხოლოდ 52,1 პროცენტი აგრძელებს სწავლას სკოლაში.

- 6 წლის ბავშვისთვის სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა საშუალოდ 13,7 წელს უდრის.
- 15-24 წლის ახალგაზრდებს შორის, უფრო მეტი მამაკაცი ანებებს თავს სწავლას, ვიდრე ქალი (56,9 და 53 პროცენტი, შესაბამისად). საშუალო სკოლაში განათლებას იღებს ვაჟებისა და გოგონების თანაბარი პროცენტული რაოდენობა (22,4 პროცენტი).
- 25-29 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში, ყველაზე დიდ ქვეჯგუფს ქმნიან ახალგაზრდები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება (109 000 პირი). არსებული მონაცემებით, 25-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში 755 000 პირს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 482 000 პირს – პროფესიული განათლება.
- განათლების მიღწეული დონე ახალგაზრდა თაობაში უფრო მაღალია, ვიდრე უფროს თაობაში.
- 25-29 წლის ასაკის ახალგაზრდებს შორის უმაღლესი განათლება უფრო მეტ ქალს აქვს მიღებული, ვიდრე მამაკაცს: 44,1 და 35,5 პროცენტი, შესაბამისად.

დასაქმება

- საქართველოში გაცილებით მეტი ახალგაზრდა მამაკაცი დასაქმებული, ვიდრე ქალი. 29 წლის ასაკის ახალგაზრდებს შორის 81,3 პროცენტი მამაკაცებისა დასაქმებულია მაშინ, როცა ამ ასაკის ქალების მხოლოდ 61,7 პროცენტია დასაქმებული.
- საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მაღალია: 15-24 წლის ახალგაზრდების 36,7 პროცენტია დასაქმებული. 15-29 წლის ახალგაზრდების 29,6 პროცენტი უმუშევარია.
- დასაქმების თვალსაზრისით, ახალგაზრდა ქალებს გაცილებით მეტ გამოწვევასთან უწევთ გამკლავება, ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცებს: 15-24 წლის ასაკის ქალების 41 პროცენტი უმუშევარია მაშინ, როცა იგივე ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცების მხოლოდ 33,5 პროცენტია უმუშევარი.

მოწვევადი ჯგუფები

- მოსახლეობის აღწერის შედეგად საქართველოში სულ გამოვლინდა მხედველობის დარღვევით გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 107 638 პირი, მათ შორის 4 019 პირი 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის შეზღუდვის პრევალენტობა შეადგენს 0,52 პროცენტს, ანუ დაახლ. ერთ შემთხვევას ყოველ 200 ახალგაზრდაზე. როგორც მთლიან მოსახლეობაში, ასევე ახალგაზრდებს შორისაც, რიგით მეორე, ყველაზე გავრცელებულ შეზღუდულ შესაძლებლობას წარმოადგენს გადაადგილების, დგომის დარღვევა: 15-29 წლის ახალგაზრდების 0,36 პროცენტს ძალიან უჭირს ან საერთოდ არ შეუძლია გადაადგილება.
- 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 40 030 ახალგაზრდა წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობის 21,1 პროცენტს შეადგენს. თუ საერთაშორისო კატეგორიზაციას გამოვიყენებთ და ახალგაზრდას განვსაზღვრავთ, როგორც 15-24 წლის ადამიანს, მაშინ საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის 26 051 ახალგაზრდა არის იძულებით გადაადგილებული.
- ყველა ასაკობრივ ჯგუფში, იძულებით გადაადგილებული ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცებისას (102 865 ქალი და 86 774 მამაკაცი); თუმცა იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს შორის მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან წარმოდგენილნი.
- 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის ერთად შეადგენს 37,2 პროცენტს; ამ ასაკობრივი ჯგუფში ქალების პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცების: 42,7 და 32 პროცენტი, შესაბამისად.

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული ინფორმაცია ეფუძნება საქართველოში 2014 წელს ჩატარებულ მოსახლეობის საყოველთაო აღწერას და მისი მიზანია ქვეყანაში ახალგაზრდების მდგომარეობის ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლა. მონოგრაფია: „ახალგაზრდები საქართველოში“ მოიაზრება, როგორც გაცილებით ფართომასშტაბიანი ინიციატივის ერთ კომპონენტი, ინიციატივისა, რომელიც გულისხმობს ხუთ ძირითად საკითხზე თემატური ანგარიშების მომზადებას. ეს საკითხებია: მოსახლეობის დაბერება, გენდერი, ახალგაზრდები, მოსახლეობის დინამიკა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა. წინამდებარე ანგარიში, რომელიც ახალგაზრდების საკითხებს ეხება, გვთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობას უკეთესი წარმოდგენა შევიქმნათ იმ სიტუაციაზე, რომელშიც ახალგაზრდები იმყოფებიან საქართველოში და, ასევე, იმ გზაზე, რომლის გავლაც უწევთ მათ ბავშვობიდან ზრდასრულობისკენ. წინამდებარე მონოგრაფიის ძირითადი მიზანია ახალგაზრდებთან დაკავშირებული დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მომზადება მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული დაგეგმვისა და პროგრამების მხარდასაჭერად, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, არის ასაკის შესატყვისი და გენდერულად სენსიტიური. გარდა ამისა, ეს ანგარიში განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის და ემსახურება საზოგადოებაში ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ინტერესის აღძვრას და მათი კეთილდღეობისათვის აქტიური ნაბიჯების გადადგმას.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 5-19 ნოემბერს და მოიცავს, აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) (ჯამში ტერიტორიით 13,000 კმ²) გარდა, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის

82 პროცენტი (57 000 კმ²). წინამდებარე ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება აღნიშნული აღწერის მონაცემებს.

მისი მასშტაბისა და შინაარსიდან გამომდინარე, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა წარმოადგენს ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უნიკალურ წყაროს. აღწერის შედეგად შესაძლებელი გახდა უახლესი ინფორმაციის მოპოვება მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივი თუ ასაკობრივი შემადგენლობის, მოსახლეობის დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის, შემოსავლის წყაროების, საცხოვრისებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

გასული ათი წლის განმავლობაში, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების საქმეში. ეს მიზნად ისახავდა საქსტატის მიერ ისეთი მტკიცებულებების მოპოვებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას და უნდა განხორციელდეს მოსახლეობის დინამიკასთან და მდგრად განვითარებასთან მისი ურთიერთკავშირის ანალიზის საფუძველზე. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერას ხელმძღვანელობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.

ახალგაზრდები – განმარტება

ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადასვლა ადამიანის ცხოვრების კრიტიკული ეტაპია, რომელსაც ახასიათებს სწრაფი ფიზიკური, შემეცნებითი და სოციალური ცვლილებები. ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების მომავალს და ასახვას ჰპოვებს მთლიანად საზოგადოებაზე. ეს არის პერიოდი, როდესაც ახალგაზრდები თავისუფლდებიან

გარშემომყოფთა მზრუნველობისაგან და ხდებიან დამოუკიდებლები, აყალიბებენ ურთიერთობებს საკუთარ თანატოლებთან, გადიან სექსობრივი მომწიფების პერიოდს და შეიცნობენ საკუთარ თავს. სწორედ ამ პერიოდში ხდება მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღება ქორწინებასთან, ბავშვის გაჩენასთან, განათლებასთან და კარიერასთან დაკავშირებით. წინამდებარე ანგარიშში ხაზგასმითარისწარმოჩენილიამგარდმავალი პერიოდის მახასიათებლები და აღწერილია, თუ როგორ ართმევენ თავს ამ ცვლილებებს ახალგაზრდები საქართველოში.

გაეროს განმარტების თანახმად, ახალგაზრდებს წარმოადგენენ 15-24 წლის ასაკის პირები. გაეროს სისტემაში, ახალგაზრდების ქვეჯგუფებთან მიმართებაში სხვა კონცეფციებიც გამოიყენება: გაეროს მოსახლეობის ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი გამოყოფს: მოზარდებს, ახალგაზრდებსა და ახალგაზრდა პირებს. ამ ორგანიზაციათა განმარტებების თანახმად, მოზარდად მიიჩნევა 10-19 წლის ადამიანი; 10-24 წლის პირები მიიჩნევიან ახალგაზრდა პირებად; ხოლო, 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შემავალი პირები მიიჩნევიან ახალგაზრდებად (გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, თარიღი უცნობია).

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი, ხოლო „ახალგაზრდა ოჯახად“ მიიჩნევა წყვილი, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება და, ამასთანავე, ორივე პირი არის 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდა (საქართველოს მთავრობა, 2014 წ.). წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 15-29 წლის ასაკის პირს. როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო განმარტებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, წინამდებარე ანგარიშში ხშირად იქნება მითითებული ასაკობრივი

ჯგუფები: „15-24 წლის“ და „15-29 წლის“. ორივე ასაკობრივი ჯგუფის: 15-24 წლის და 15-29 წლის შესახებ ინფორმაცია სტატისტიკის ამსახველ ცხრილებში ხშირად იქნება დაყოფილი 5-წლიან ასაკობრივ ქვეჯგუფად (მაგ., 15-19, 20-24, 25-29). ამგვარად, ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შესაბამისობაში იქნება ეროვნულ კლასიფიკაციასთან და ასევე, გამარტივებული იქნება მათი შედარება საერთაშორისო მონაცემებთან და მათი დაკავშირება მდგრადი განვითარების მიზნებთან. საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, 14 წელი მიჩნეულია ახალგაზრდა ასაკის საწყისად მაშინ, როცა წინამდებარე ანგარიშში ახალგაზრდა ასაკის საწყისად აღებულია 15 წელი. ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგების ამსახველ ცხრილებში მონაცემები შეტანილია 5-წლიანი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

ახალგაზრდებთან დაკავშირებული ეროვნული პრიორიტეტები

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა (შემდგომში „ახალგაზრდული პოლიტიკა“), რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014 წელს, წარმოადგენს საქართველოში 14-29 წლის ახალგაზრდების განვითარების პოლიტიკის ყოვლისმომცველ მარეგულირებელ ჩარჩოს. მისი განხორციელება მოითხოვს ახალგაზრდების, სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გარკვეული ვალდებულებების აღებასა და მათ შესრულებას. ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს „...ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.“ (საქართველოს მთავრობა, 2014 წ.) (გვ. 2).

ამ მიზნის მისაღწევად, ახალგაზრდული პოლიტიკა ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს დროული ზომები კონკრეტული სფეროების გასაავითარებლად, ამ სფეროებთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად და შესაფასებლად; შესაბამისად, ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს:

1. მონაწილეობას: საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობას;
2. განათლებას, დასაქმებას, მობილობას: ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას;
3. ჯანმრთელობას: ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში;
4. განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და დაცვას: სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მათი უფლებების დაცვას და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობაში შედის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება. აქვე ყურადღება არის გამახვილებული ერთობლივი ძალისხმევისა და ერთობლივი მოქმედების აუცილებლობაზე, რაც გულისხმობს ისეთი ინსტიტუტების ჩართულობას, როგორცაა, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, ადგილობრივი თვითმმართველობები, ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, დაინტერესებული პირები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მედია და მეცნიერები (საქართველოს მთავრობა, 2014 წ.).

ახალგაზრდები და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი

ეროვნული დაგეგმვისა და პროგრამების ხელშეწყობის გარდა, წინამდებარე ანგარიშის მიზნებში შედის ინფორმაციის მოპოვება საქართველოს მიღწევებზე 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებული, ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების განხორციელების თვალსაზრისით. აღნიშნული დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა 2015 წლის სექტემბერში, წარმოადგენს მოქმედების საყოველთაო გეგმას და მიზნად ისახავს ხალხების, მსოფლიოსა და ზოგადი კეთილდღეობის უზრუნველყოფას. მდგრადი განვითარების მიზნებში შესულია 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ერთობლივად მიზანმიმართულ დღის წესრიგს ქმნის და რომლის შესრულებაც მსოფლიოს მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე დააყენებს. ახალგაზრდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გრძელვადიანი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში და შესაბამისად, წარმოადგენენ აღნიშნული დღის წესრიგის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის განუყოფელ ნაწილს. ფაქტობრივად, ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დღევანდელი მსოფლიო დგას, უშუალოდ უკავშირდება ბავშვებსა და ახალგაზრდებს. შესაბამისად, აუცილებელია ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის ყველა ეტაპზე და ხელსაყრელი გარემოს შექმნა იმისათვის, რომ ამ მიზნების განხორციელების პროცესში ახალგაზრდები ჩაერთონ, როგორც პარტნიორები და ლიდერები; უფრო მეტიც, ვინაიდან 2030 წლის დღის წესრიგის ქვაკუთხედს წარმოადგენს მიდგომა - არავინ დარჩეს მდგრადი განვითარების პროცესის მიღმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი გოგონებისა და მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენის საჭიროებას (გაერო, თარიღი უცნობია).

ვინაიდან მდგრადი განვითარების ყველა მიზანი ახალგაზრდების განვითარებას ემსახურება, ჩამოყალიბდა კონკრეტული

მაჩვენებლების ნუსხა, რომლებიც გამოიყენება ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და შეფასების საქმეში. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში შესულია ინფორმაცია ახალგაზრდებთან დაკავშირებული იმ მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ეხება შობადობას, განათლებას, დასაქმებასა და პროფესიულ მომზადებას, ქორწინებასა თუ პარტნიორულ ურთიერთობებს. ყველა აღნიშნული მაჩვენებლის გამოთვლა შესაძლებელია მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე და შესაბამისად წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში. იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, მაჩვენებლები დაყოფილია ასაკისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ახალგაზრდებთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა მოიცავს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელთა მიზანია საქართველოს ახალგაზრდების წინაშე მდგომ გამოწვევებთან გამკლავება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობაში; ასევე, აღნიშნული პოლიტიკა მიისწრაფვის შეიქმნას ხელსაყრელი გარემო პირობები იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ მაღალხარისხიანი განათლება, დასაქმდნენ, ისარგებლონ პროფესიული ზრდის შესაძლებლობებით, იყვნენ ჯანმრთელნი და ხელი მიუწვდებოდეთ ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებაზე; გარდა ამისა, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც ახალგაზრდებს გაცნობიერებული აქვთ საკუთარი სამოქალაქო უფლებები და პასუხისმგებლობები; სადაც დაცულია მათი უფლებები და სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდები იღებენ აუცილებელ დახმარებასა და ხელშეწყობას (საქართველოს მთავრობა, 2014 წ.).

2014 წელს საქართველოში ჩატარდა ახალგაზრდების ეროვნული კვლევა.

აღნიშნული კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი გამოწვევებისა, რომლებიც 15-29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების წინაშე დგას, საქართველოს მასშტაბით (გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა). უკანასკნელ წლებში საქართველოში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქვეყანაში კვლავ რჩება გარკვეული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მოზარდებსა და ახალგაზრდებს საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებაში.

ახალგაზრდების ეროვნულ კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2012 წლის შინამეურნეობების ინტეგრირებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ სიღარიბის მაჩვენებლები შედარებით მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც 15-29 წლის ერთი ან მეტი წევრი ცხოვრობს. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, „საქართველოს მასშტაბით ეს მაჩვენებლები 3-4 პროცენტული პუნქტით აღემატება იმ მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლებს, ვის შინამეურნეობაშიც აღნიშნული ასაკის ახალგაზრდები არ ცხოვრობენ.“ გამოკვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მასშტაბით 2012 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით იმყოფება ახალგაზრდების დაახლ. მეოთხედი, ხოლო 40 პროცენტის ქვევით ახალგაზრდების დაახლ. 10 პროცენტი. მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფ ახალგაზრდებში სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მეტია სასოფლო დასახლებებში (29,3 პროცენტი), ვიდრე საქალაქო დასახლებებში (17,5 პროცენტი). რაც შეეხება მედიანური მოხმარების 40 პროცენტს ქვევით მყოფ ახალგაზრდებს, აღნიშნული მაჩვენებელი სასოფლო დასახლებებში შეადგენს 13,4 პროცენტს მაშინ, როცა საქალაქო დასახლებებში, იგივე მაჩვენებელი 7,3 პროცენტის ტოლია.

ახალგაზრდების კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ შრომისუნარიან მოსახლეობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახალგაზრდებს შორისაა და 31 პროცენტს შეადგენს. უმუშევარი ახალგაზრდების რიგებში არ არიან მხოლოდ სათანადო

განათლების არმქონე პირები. დაუსაქმებელი ახალგაზრდების ერთ მესამედს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაჩვენებელი 2,5-ჯერ აღემატება სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის დაფიქსირებულ მაჩვენებელს. გარდა ამისა, დასაქმების დონე უფრო მაღალია ახალგაზრდა მამაკაცებში (53,3 პროცენტი), ვიდრე ახალგაზრდა ქალებში (30,4 პროცენტი) (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, 2014 წ.). სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ჭრილში ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შეფასებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ორივე სქესის აქტიურობის მაჩვენებლები, ვინაიდან ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები, რომლებიც არ არიან სამუშაო ძალის ნაწილი, ვერ ჩაითვლებიან უმუშევრად. ახალგაზრდების აღნიშნული კვლევის თანახმად, 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქალების 49 პროცენტი და მამაკაცების 71,3 პროცენტი იყო ეკონომიკურად აქტიური.

წინამდებარე ანგარიში ემყარება 2014 წელს ჩატარებულ ახალგაზრდების კვლევასა და სხვა მსგავს კვლევებს და გვაწვდის უახლეს ინფორმაციას საქართველოს ახალგაზრდების ზრდასრულობაში გადასვლის პროცესის შესახებ. ახალგაზრდების ცხოვრებაში ამ გარდამავალი პერიოდის სრულყოფილი ანალიზი, ახალგაზრდების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, როგორცაა მათი წარმომავლობა და პიროვნული მახასიათებლები, საშუალებას მოგვცემს სიღრმისეულად გავიაზროთ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მდგომარეობა.

წინამდებარე ანგარიშის მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მონოგრაფიის ავტორსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგს. 2016 წლის ნოემბერში, წინამდებარე ანგარიშის ავტორის თბილისში ვიზიტისას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და გაეროს მოსახლეობის

ფონდთან ერთად წარმოებული მსჯელობის შედეგად, ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ახალგაზრდების საკითხების კვლევის შინაარსი და მეთოდოლოგია. წინამდებარე კვლევა უმეტესწილად ეყრდნობა მოსახლეობის აღწერის შედეგების ამსახველ სტანდარტულ ცხრილებს, თუმცა მისი მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა დამატებითი ცხრილების შექმნა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მდგომარეობის უკეთ შესასწავლად.

წინამდებარე ანგარიში შედგება ხუთი თავისაგან, რომლებიც ეხება ახალგაზრდებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემას:

თავი 1: ახალგაზრდები საქართველოს მოსახლეობაში

საქართველოში დემოგრაფიული გადასვლის შედეგად შეიცვალა მთლიან მოსახლეობაში ახალგაზრდების წილი. მოცემულ თავში საუბარია საქართველოს ახალგაზრდა მოსახლეობის დემოგრაფიულ და სოციალურ კომპონენტებზე, როგორცაა ასაკობრივი სტრუქტურა, რეგიონალური განაწილება, აღმსარებლობა, ეთნიკური წარმომავლობა და მობილობა; გარდა ამისა, შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოს მონაცემები შედარებულია რეგიონის სხვა ქვეყნებთან და, ასევე, არსებულ საერთაშორისო მონაცემებთან. წინამდებარე ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს საქართველოში სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას, ვინაიდან აღნიშნული თემის სიღრმისეულ ანალიზს ცალკე ანგარიში ეძღვნება.

თავი 2: ქორწინება, შობადობა და შინამეურნეობის სტრუქტურა

ვინაიდან ბევრი ახალგაზრდა ქმნის ოჯახს და აჩენს ბავშვებს ზრდასრულობაში გადასვლის პროცესის ფონზე, მეორე თავში ვრცლად არის განხილული აღნიშნული თემა. კონკრეტულად, აქ საუბარია ახალგაზრდების საშუალო ასაკზე პირველი ქორწინებისას, ქორწინების გარეშე პარტნიორთან ცხოვრებასა და განქორწინებაზე, ოჯახის შექმნასა და ბავშვის გაჩენაზე, მათ შორის პირველი

ბავშვის გაჩენის ასაკზე, მოზარდებს შორის შობადობის მაჩვენებლებზე, შინამეურნეობის შემადგენლობაზე და ა.შ.

თავი 3: განათლება

აღნიშნული თავი მოიცავს სკოლაში დასწრებისა და განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას და განიხილავს იმ განსხვავებებს, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს სხვადასხვა სქესის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ და სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის მქონე ახალგაზრდებს შორის.

თავი 4: ახალგაზრდები და სამუშაო ძალა

ნებისმიერი პიროვნების ცხოვრებაში განათლების მიღების შემდეგ პროფესიულ ასპარეზზე გასვლა და სამუშაო ძალაში ჩაბმა, რაც უმეტესად ახალგაზრდობაში ხდება, უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. წინამდებარე ანგარიშში განხილულია ახალგაზრდების დასაქმების ტიპები საქართველოში, ასევე, შრომის ბაზარზე შესვლის ასაკი; ახალგაზრდების უმუშევრობის დონე და მისი მახასიათებლები.

თავი 5: მოწყვლადი ჯგუფები

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდების 18 ჯგუფი, რომლებიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს; ახალგაზრდებს, რომლებიც სკოლაში არ დადიან; მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს; ომის გმირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ომის ვეტერანების შვილებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიშში არ არის განხილული

ახალგაზრდების ყველა მოწყვლადი ჯგუფი, ვინაიდან მოსახლეობის აღწერის ფარგლებში არ მომხდარა მონაცემების შეგროვება ამ ჯგუფების უმრავლესობის შესახებ. ამ ანგარიშში განხილული მოწყვლადი ჯგუფებია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები
- ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები
- ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET).

1. ახალგაზრდები საქართველოში

1.1 ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები


წინამდებარე ანგარიში განიხილავს 15-24 წლისა და 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებს, რომლებიც „ახალგაზრდებად“ იწოდებიან. ახალგაზრდების ამ ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფა ესადაგება ახალგაზრდების, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ კლასიფიკაციას. ახალგაზრდების მდგომარეობა უნდა შეფასდეს მთლიანი მოსახლეობის ასაკობრივი გადანაწილების ფონზე.

გრაფიკზე 1.1 ნაჩვენებია მოსახლეობის გადანაწილება 5-წლიანი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. 2014 წელს, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდები შეადგენდნენ საქართველოს მოსახლეობის დაახლ. 21 პროცენტს. ამ ასაკობრივ ჯგუფში შედიოდა 770 809 პირი, მათ შორის 492 147 პირი 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდა.


საქართველოს მოსახლეობის არსებული ასაკობრივი გადანაწილება შობადობის,

მოკვდაობისა და საერთაშორისო მიგრაციის წარსული და მიმდინარე ტენდენციების შედეგია. საქართველოში, არათანაბარი ასაკობრივი გადანაწილება სამი ზემოაღნიშნული დემოგრაფიული მოვლენის ურთიერთქმედების შედეგია. რეგიონის ბევრ ქვეყანასთან შედარებით, საქართველოში შობადობის გადასვლის პროცესი საკმაოდ ადრე დაფიქსირდა. 1960 წელს, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი დაახლ. 3,0 შეადგენდა; ამჟამად ეს კოეფიციენტი დაახლ. 2,0-ს უტოლდება (Hakkert, 2017). გასული 25 წლის განმავლობაში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, 1990 წლის მონაცემებთან შედარებით, გაიზარდა მამაკაცებში 67 წლიდან 70 წლამდე, ხოლო ქალებში - 75 წლიდან 79 წლამდე (Hakkert, 2017). საქართველოს მოსახლეობის დღევანდელი ასაკობრივი გადანაწილება უმეტესწილად მიგრაციის შედეგია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანაში მასობრივი მიგრაცია დაიწყო, რაც განპირობებული იყო მრავალი ეთნიკური უმცირესობის მიერ ქვეყნის დატოვებით, ეკონომიკური სიღუბლით გამოწვეული

გრაფიკი 1.1: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




გრაფიკი 1.2: 15 – 29 წლის ახალგაზრდები, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; 2002–2014 წლები




ემიგრაციითა და სამოქალაქო ომისა და კონფლიქტების შედეგად მოსახლეობის გადაადგილებით. შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის არსებულმა ტენდენციებმა განაპირობა ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მულტიმოდალური ფორმა. 0–5 წლის, 25–29 წლისა და 50–54 წლის ასაკობრივი ჯგუფები, მომიჯნავე ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, გაცილებით მრავალრიცხოვანია. მაგ., 25–29 წლის ასაკის მოსახლეობამ შეადგინა 278 662 ადამიანი; 15–19 წლის ასაკის

მოსახლეობამ – 226 022 ადამიანი; ხოლო 30–34 წლის ასაკის მოსახლეობამ – 262 060 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მრავალრიცხოვან ასაკობრივ ჯგუფებს შორის ასაკობრივი სხვაობა დაახლ. 25 წელს შეადგენს და ემთხვევა ქალების მიერ შვილების გაჩენის საშუალო ასაკს. ეს ნაწილობრივ ხსნის ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ტალღისებურ ფორმას. ბუნებრივია, რომ როდესაც ქალების დიდი რაოდენობა აღწევს რეპროდუქციულ ასაკს, მოსახლეობაში შობადობის მაჩვენებელი

გრაფიკი 1.3: მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა, 15 – 29 წლის ახალგაზრდები



გრაფიკი 1.4: ახალგაზრდების რაოდენობა საქართველოში



მაღალია და პირიქით. სწორედ ამით არის განპირობებული 15 – 29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების რიცხოვნობის შემცირება 2002 წელს დაფიქსირებული 995 000-იდან, 2014 წელს დაფიქსირებულ 770 809-მდე. გრაფიკზე 1.2 ნაჩვენებია 15 – 19 წლის ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი – 36,7 პროცენტული შემცირება 357 145-დან 226 022-მდე.

რიცხოვნობის თვალსაზრისით, ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვაობა მკვეთრია. 20 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდების რაოდენობას (იხ. გრაფიკი 1.3). ახალგაზრდებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან 23 წლის ახალგაზრდები (59 836), ხოლო ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს – 15 წლის ახალგაზრდები (41 992). სავსებით შესაძლებელია, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ამგვარი მერყეობის შედეგად ახალგაზრდების რაოდენობა სამომავლოდ კიდევ უფრო შემცირდეს, თუმცა ეს კლება დროებითი მოვლენა იქნება და დასრულდება, როდესაც ამჟამად 0-4 წლის ბავშვები 15 წლის ასაკს მიაღწევენ, რა დროსაც ახალგაზრდების

რაოდენობის ზრდა ისევ დაფიქსირდება.

1959, 1979, 1989, 2002 და 2014 წლებში საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შედეგების ერთმანეთთან შედარებამ ცხადყო, რომ 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების რაოდენობამ პიკს მიაღწია 1989 წელს და 1,3 მილიონი შეადგინა. მას შემდეგ, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა დაახლ. 23 პროცენტით შემცირდა 2002 წლისათვის და კიდევ 23 პროცენტით – 2014 წლისათვის (იხ. გრაფიკი 1.4).

1.2 სხვაობები რეგიონებს შორის


რუკაზე 1.1 ნაჩვენებია 15-29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში, რეგიონების მიხედვით. საქართველოს რეგიონებს შორის, ახალგაზრდების პროცენტული წილი ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (12,3 პროცენტი), გურიაში (16,8 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (17,2 პროცენტი), რეგიონებში, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში მდებარეობს. იგივე რეგიონებში 15 – 24 წლის ახალგაზრდების რაოდენობაც ძალიან დაბალია. 15 – 29 წლის

ახალგაზრდების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი დაფიქსირდა თბილისში (23,1 პროცენტი), აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (23 პროცენტი) და ქვემო ქართლში (22,7 პროცენტი).


ლოგიკურია, რომ რეგიონებში, სადაც შობადობის მაჩვენებელი დაბალია, ახალგაზრდების პროცენტული წილიც შესაბამისად დაბალი იყოს. თუმცა, გრაფიკზე 1.5 ნაჩვენებია, რომ საქართველოს რეგიონებში ვითარება სხვაგვარად არის. რეგიონებში, სადაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ყველაზე დაბალია, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ახალგაზრდების პროცენტული წილი ყველაზე მაღალია. მოსახლეობის

საერთო რაოდენობაში ახალგაზრდების პროცენტული წილის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ამ რეგიონებში შიდა მიგრაციის მაღალი დონე. გრაფიკზე 1.6 ნაჩვენებია, რომ ზოგადი მიგრაციის მაჩვენებელი მაღალია იმ რეგიონებში, სადაც შობადობის მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება. ახალგაზრდების შემთხვევაში მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზს უკავშირდებოდეს, როგორცაა ურბანულ ცენტრებში საცხოვრებლად გადასვლა უმაღლესი განათლების მისაღებად, ასევე შიდა და/ან გარე მიგრაცია სამუშაოს შოვნის მიზნით.

გრაფიკი 1.5: საქართველოს რეგიონები, 15–29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ჭრილში



გრაფიკი 1.6: საქართველოს რეგიონები, მიგრაცია და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი



რუკაზე 1.2 ნაჩვენებია ქვეყანაში 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების გადანაწილება დასახლებების მიხედვით, სადაც აშკარად ჩანს სხვადასხვა რეგიონებსა და სხვადასხვა დასახლებებს შორის ამ თვალსაზრისით არსებული სხვაობა. მუნიციპალიტეტების დონეზე, მთლიან მოსახლეობაში ახალგაზრდების ყველაზე დაბალი პროცენტული წილი - 10,6 პროცენტი - დაფიქსირდა ამბროლაურში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში; ხოლო ყველაზე მაღალი პროცენტული წილი - 24,6 პროცენტი - ფიქსირდება ხელვაჩაურში, აჭარაში.

1.3 საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები


საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლ. 57 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში, ხოლო დანარჩენი 43 პროცენტი - სასოფლო დასახლებებში. საქართველოში 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების საერთო რაოდენობა შეადგენს 770 809. აქედან, დაახლ. 60 პროცენტი (461 383 ახალგაზრდა) ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში, ხოლო დანარჩენი 40 პროცენტი (309 426 ახალგაზრდა) - სასოფლო დასახლებებში. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცების

ცხრილი 1.1: საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების რაოდენობა, ასაკისა და სქესის მიხედვით

	საქართველო			საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
15-19	226 022	118 877	107 145	130 446	66 924	63 522	95 576	51 953	43 623
20-24	266 125	135 305	130 820	162 336	79 100	83 236	103 789	56 205	47 584
25-29	278 662	139 945	138 717	168 601	80 608	87 993	110 061	59 337	50 724
სულ	770 809	394 127	376 682	461 383	226 632	234 751	309 426	167 495	141 931

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გრაფიკი 1.7: 15 - 29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა


საერთო რაოდენობის დაახლ. 23,1 პროცენტი და ქალების საერთო რაოდენობის დაახლ. 20,6 პროცენტი 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება. სოფლის მოსახლეობაში 15-29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი მცირედით ჩამოუვარდება ქალაქში დაფიქსირებულ იმავე მაჩვენებელს და შეადგენს 21,2 პროცენტს მამაკაცებისა და 17,8 ქალების შემთხვევაში (იხ. გრაფიკი 1.7).

1.4 სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა

საქართველოში, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალებისას. ზოგადად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ბუნებრივად შეადგენს 102-106 მამრობითი სქესის ახალშობილს ყოველ 100 მდედრობითი სქესის ახალშობილზე (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2011). საქართველოში, 0-29 წლის ასაკის მოსახლეობის განხილვისას, ეს თანაფარდობა მამრობითი სქესის სიჭარბით ხასიათდება, მცირეწლოვან ჯგუფში. 2014 წელს 15 წლის ასაკის ყოველ 100 გოგონაზე დაახლ. 113,6 ბიჭი მოდიოდა

(იხ. გრაფიკი 1.8). ვინაიდან ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობს და ოჯახთან ერთად ცხოვრობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თანაფარდობის დარღვევა არ ხდება მამაკაცთა მიგრაციის ხარჯზე. ასაკის მატებასთან ერთად სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ეტაპობრივად რეგულირდება და 20 წლის ასაკის ახალგაზრდებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 107,6 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე, ხოლო 27 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 102 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე. 22 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა უთანაბრდება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ბუნებრივ ნორმას. ამგვარი ტენდენციის გამომწვევ ფაქტორებს შორის შესაძლებელია დასახელდეს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა, ვინაიდან საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ვაჟის ყოლას ამჯობინებს. აღნიშნული საკითხი უფრო დეტალურად იქნება განხილული სპეციალურ თემატურ ანგარიშში, რომელიც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის საკითხებს ეძღვნება.


გრაფიკი 1.8: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი ასაკის მიხედვით (0 - 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში)




მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით შექმნილ თემატურ ანგარიშში, რომელიც მოსახლეობის დინამიკას ეძღვნება, აღნიშნულია, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით ძალიან დიდი სხვაობა ვლინდება საქალაქო და სასოფლო დასახლებების

მოსახლეობას შორის; კონკრეტულად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი გაცილებით დაბალია საქალაქო დასახლებების მოსახლეობაში (85,9), ვიდრე სოფლის მოსახლეობაში (99,1) (Hakkert, 2017). აღნიშნული სხვაობა გამოხატულია ახალგაზრდებშიც. 2014 წელს,

გრაფიკი 1.9: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდებში



გრაფიკი 1.10: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ 15–29 წლის ასაკის მოსახლეობაში აღემატებოდა ამავე კოეფიციენტს საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ანალოგიურ ასაკობრივ ჯგუფში. საქალაქო დასახლებებში, ყოველ 100 ქალზე 96,5 მამაკაცი მოდიოდა მაშინ, როცა სასოფლო დასახლებებში ეს მაჩვენებელი იყო ყოველ 100 ქალზე 118 მამაკაცი.

საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შორის არსებული დიდი სხვაობა მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი აქვს სქესობრივი თვალსაზრისით შერჩევით მიგრაციას (ქვეყნის ფარგლებს შიგნით და/ან საერთაშორისო მასშტაბით). საინტერესო სურათი იქმნება სამი 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებში სქესთა თანაფარდობის კოეფიციენტთა შესწავლისას (იხ. გრაფიკი 1.10). სოფლის მოსახლეობაში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი, ე.ი. მამაკაცების რაოდენობა ყოველ 100 ქალზე, უცვლელად მაღალი რჩება, სამივე ასაკობრივ ჯგუფში. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში კი ამ კოეფიციენტის აშკარა კლება აღინიშნება: 15–19 წლის ასაკობრივ ჯგუფში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 105,4-ს, 20–24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 95,0-ს, ხოლო 25–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 91,6-ს. აშკარაა, რომ ახალგაზრდებში, ქალებთან შედარებით მამაკაცების რაოდენობა მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. დიდი ალბათობით, აღნიშნული ტენდენცია გამოწვეულია იმით, რომ საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცების დიდი რაოდენობა ქვეყნის ფარგლებს ტოვებს. ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული ტენდენცია უკავშირდებოდეს ახალგაზრდა მამაკაცების შიდა მიგრაციას ქალაქიდან სასოფლო დასახლებებში, ვინაიდან ეს პროცესი დადებითად აისახებოდა სოფლის

მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტზე. სასოფლო დასახლებებში, 0-დან 30 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი უცვლელად მაღალი რჩება. ეს დასტურია იმისა, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი 1990 წლის ბუნებრივი ნორმიდან გაიზარდა და შეადგინა 112–114 მამაკაცი ყოველ 100 ქალზე ამ საუკუნის დასაწყისიდან (Guilmoto, 2015). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა აჩვენებს, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შემცირდა. აქვე დაფიქსირდა, რომ 0–1 წლის ასაკობრივ ჯგუფში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტმა შეადგინა 108,0, რაც თუმცა ჯერ ისევ მაღალია წინა წლებთან შედარებით, მაინც დაღმავალ დინამიკას ასახავს. წინამდებარე ანგარიშის მიზნებში არ შედის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებთან დაკავშირებული ტენდენციის მიზეზების დეტალური ანალიზი.

1.5 დამოკიდებულების კოეფიციენტი

ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი წარმოადგენს 0-14 წლის ასაკის მოსახლეობის თანაფარდობას 15-64 წლის ასაკის მოსახლეობასთან. აღნიშნული კოეფიციენტი განსაზღვრავს სამუშაო ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობაზე დამოკიდებული 0-14 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობას. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების თანახმად, აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენდა 27,7-ს. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზნებში არ შედის 0-14 წლის ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი, ამ ქვეჯგუფის ჩართვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მომავალ რამდენიმე წელიწადში სწორედ ეს ასაკობრივი ქვეჯგუფი იქნება ახალგაზრდების რიგებში და მომავალში სწორედ მათ მოუწევთ საზოგადოებაში სხვა დამოკიდებულ ასაკობრივ ჯგუფებზე ზრუნვა. ბავშვთა დამოკიდებულების მაღალი კოეფიციენტი იმის მაჩვენებელია, რომ საჭიროა უფრო


მეტი ინვესტიციების განხორციელება საგანმანათლებლო სისტემებსა და სხვა სტრუქტურებში, რომლებიც ბავშვების კეთილდღეობას უზრუნველყოფს, როგორცაა, მაგ., იმუნიზაციის პროგრამები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, საბავშვო ბაღები და ა.შ.

ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალია მამრობითი სქესისათვის, ვიდრე მდედრობითისთვის და შეადგენს 30,1 და 25,6, შესაბამისად. მამაკაცების დამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალია საქალაქო დასახლებებში, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში. ამავდროულად, ქალების დამოკიდებულების კოეფიციენტი თანაბარია საქალაქო და სასოფლო დასახლებებში (იხ. გრაფიკი 1.11). საქართველოში ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელი ქვეყნების უმრავლესობაში¹. მხოლოდ აზერბაიჯანსა და თურქეთს აქვს ბავშვთა დამოკიდებულების საქართველოზე

მაღალი კოეფიციენტები. საქართველოში აღნიშნული კოეფიციენტი უტოლდება 27,7-ს, აზერბაიჯანში - 30,3 და თურქეთში - 38,4 (იხ. გრაფიკი 1.12). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბავშვთა დამოკიდებულების მაღალი კოეფიციენტი გააჩნია, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო 50 წლის განმავლობაში. 1959 წელს, ბავშვთა ეს მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა 46,5-ს, ხოლო 2014 წელს მან 27,7 შეადგინა. ამასთანავე, 1959 წელს, ბავშვთა თანაფარდობა 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობასთან შეადგენდა 29 პროცენტს, ხოლო 2014 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 18,6 პროცენტი.

ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი მჭიდროდ უკავშირდება დამოკიდებულების ჯამურ კოეფიციენტს. დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტი მოიცავს, როგორც 15 წლის ასაკამდე პირებს, ასევე 65 წლის და


გრაფიკი 1.11: ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი, საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

¹ ავტორისთვის ცნობილია, რომ დამოკიდებულების კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდებს შორის სხვაობის გამო, შეუძლებელია ზუსტი შედარების წარმოება. ამდენად, ქვეყნების მაჩვენებლები გამოყენებულია მხოლოდ ამ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების დასადასტურებლად.

გრაფიკი 1.12: ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტი, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2015 წელი



გრაფიკი 1.13: დამოკიდებულების კოეფიციენტი



უფროსი ასაკის პირებს; ორივე ასაკობრივი ჯგუფი მიიჩნევა დამოკიდებულ ასაკობრივ ჯგუფად, ვინაიდან, როგორც წესი, ამ ასაკის მოსახლეობა არ არის აქტიური შრომის ბაზარზე. გრაფიკზე 1.13 ნაჩვენებია, რომ წლების განმავლობაში, საქართველოში ბავშვთა დამოკიდებულების კოეფიციენტის შემცირება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტის (იხ. გრაფიკი 1.13). 0 – 14 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობის

შემცირების პარალელურად საქართველოში იზრდება 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა. 1959 წელს, 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლ. 7 პროცენტს შეადგენდა მაშინ, როცა 2014 წელს ეს მაჩვენებელი 14 პროცენტამდე გაიზარდა. შედეგად, ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი მომავალშიც გააგრძელებს ზრდას. მოცემული მომენტისათვის,


15 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობის კლება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. შედეგად, დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტი კვლავ განაგრძობს კლებას. თუმცა, მომავალში აღნიშნული ტენდენცია მიაღწევს ნიშნულს, რომლის შემდეგაც დინამიკა შებრუნდება და დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტის ზრდას ექნება ადგილი. მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილება აისახება წარმოებისა და მოხმარების ციკლებზე. ეკონომიურად აქტიური ასაკობრივი ჯგუფი, ჩვეულებრივ, ქმნის იმაზე მეტ პროდუქტს, ვიდრე მოიხმარს მაშინ, როცა ბავშვები და ხანდაზმულები მოიხმარენ იმაზე მეტს, ვიდრე აწარმოებენ. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში დამოკიდებული მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ქმნის სწრაფი ეკონომიური ზრდის შესაძლებლობას. ამგვარ მოვლენას ზოგადად ეწოდება „დემოგრაფიული დივიდენდი“². იმისათვის, რომ ქვეყანამ მოიპყრო დემოგრაფიული დივიდენდი, საჭიროა სათანადო ზომების გატარება ოჯახის დაგეგმვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, განათლების,

მმართველობისა და ეკონომიკური და შრომის ბაზრის დაგეგმვის მიმართულებით. წლების განმავლობაში, ბევრმა ქვეყანამ წარმატებით ისარგებლა დემოგრაფიული დივიდენდით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართულებით ე.წ. აზიის ოთხი ვეფხვის – ოთხი მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის: ჰონგ-კონგის, სინგაპურის, სამხრეთ კორეისა და ტაივანის წარმატება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ჯერ კიდევ დამოკიდებულების კოეფიციენტის კლების ფაზაში იმყოფება, მიზანშეწონილია შესაძლო დემოგრაფიული დივიდენდის მოცულობის შესწავლა და იმ ზომებისა და ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც საჭიროა ამ დივიდენდით სარგებლობისათვის საჭირო გარემოს შესაქმნელად.

1.6 ეთნიკურობა


საქართველოში მრავალი ეთნიკური ჯგუფია წარმოდგენილი. მოცემული მომენტისათვის, ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს ქმნიან ქართველები; მოსახლეობის 2014 წლის აღწერისას, 3 224 564 პირმა განაცხადა, რომ ისინი ქართველები იყვნენ. რიცხოვნობის მიხედვით რიგით მეორე და მესამე ეთნიკურ ჯგუფებს

გრაფიკი 1.14: 15 – 24 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით



² დემოგრაფიული დივიდენდით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ა. მეისონის ნაშრომში (2005 წ.), დემოგრაფიული გადასვლა და დემოგრაფიული დივიდენდები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. NIA, R01-AG025488-01, გვ.82. ეროვნული ეკონომიკური და სოციალური განვითარების საბჭოს აპარატი; ან, დ. ე. ბლუმის ნაშრომში; დ. კანინგი და ჯ. სელივა (2003 წ.). დემოგრაფიული დივიდენდი: მოსახლეობის ცვლილების ეკონომიკური შედეგების ახალი პერსპექტივა. RAND-ის პროგრამა მოსახლეობის საკითხების თაობაზე MR-1274, სანტა მონიკა, კალიფორნია.

გრაფიკი 1.15: 15 – 29 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით



საქართველოში ქმნიან აზერბაიჯანელები (233 024) და სომხები (168 102). ყველა დანარჩენი ეთნიკურ ჯგუფი მცირერიცხოვანია: რუსები (26 453), ოსები (14 385), იეზიდები (12 174), უკრაინელები (6 034), ქისტები (5 697), ბერძნები (5 544) და ასირიელები (2 377).

თითოეულ ეთნიკურ ჯგუფში ახალგაზრდების წილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გრაფიკზე 1.14 ნაჩვენებია 15 – 24 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. 15 – 24 წლის ასაკის ახალგაზრდების წილის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ქისტებს (15,5 პროცენტი) და აზერბაიჯანელებს (14,8 პროცენტი). ამკარაა, რომ მთლიან მოსახლეობაში ესოდენ დიდი წილის წყალობით, ახალგაზრდა ქართველების წილი მთლიან მოსახლეობაში, უტოლდება ბოგადად ახალგაზრდების წილს მთლიან მოსახლეობაში (13,3 პროცენტი). წარმომავლობით რუსი, ბერძენი და უკრაინელი ახალგაზრდები საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების შედარებით მცირერიცხოვან წილს ქმნიან. მოსახლეობის 2014 წლის აღწერისას, ეთნიკური ჯგუფების

გადანაწილების კუთხით, თითქმის იდენტური სურათი დაფიქსირდა 15–29 წლის ასაკის ახალგაზრდების შემთხვევაშიც. გრაფიკზე 1.15 მოყვანილია 15–29 წლის ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.

1.7 აღმსარებლობა

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მრავალფეროვნება განაპირობებს რელიგიური აღმსარებლობების მრავალფეროვნებას. საქართველოში, 15 –29 წლის ასაკის ახალგაზრდების უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და ისინი ახალგაზრდების დაახლ. 82,5 პროცენტს შეადგენენ. აღმსარებლობის მიხედვით, რიგით მეორე და მესამე ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ჯგუფებს ქმნიან მუსლიმები (11,6 პროცენტი) და სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები (3,0 პროცენტი). ახალგაზრდების მხოლოდ 0,4 პროცენტის განცხადებით ისინი არ მისდევდნენ არც ერთ რელიგიას (იხ. ცხრილი 1.2). აღმსარებლობის თვალსაზრისით, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების გადანაწილება, სხვა ასაკობრივი ჯგუფების გადანაწილების ანალოგიურია. ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის

ცხრილი 1.2: რელიგიური კუთვნილება, ასაკისა და სქესის მიხედვით

	15-19	20-24	25-29	15 - 24	15 - 29	პროცენტი
მართლმადიდებელი	184 687	221 556	229 858	406 243	636 101	82,5
მუსულიმი	28 242	29 308	32 169	57 550	89 719	11,6
სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი	6 553	7 679	9 138	14 232	23 370	3,0
კათოლიკე	1 088	1 202	1 399	2 290	3 689	0,5
იეჰოვას მოწმე	922	946	893	1 868	2 761	0,4
იეზიდი	518	586	632	1 104	1 736	0,2
სხვა	406	507	364	913	1 277	0,2
არცერთი	1 024	1 000	838	2 024	2 862	0,4
უარი პასუხზე	562	754	748	1 316	2 064	0,3
არ არის მითითებული	2 020	2 587	2 623	4 607	7 230	0,9
სულ	226 022	266 125	278 662	492 147	770 809	100

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

83 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, 11 პროცენტი მუსლიმია, 3,0 პროცენტი სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი, ხოლო მოსახლეობის დარჩენილი მცირერიცხოვანი ნაწილი სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები არიან. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლ. 0,5 პროცენტი არცერთი რელიგიის მიმდევარი არ არის (ცხრილი 1.2). ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროპის ქვეყნებსა და აშშ-შიც, შეინიშნება ორგანიზებული რელიგიების პოპულარულობის კლების ტენდენცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. თუმცა, მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, საქართველოში მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება, ვინაიდან ახალგაზრდების მიერ საკუთარი თავის ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრად გამოცხადების თვალსაზრისით არსებული სიტუაცია ემთხვევა მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირებულ სტატისტიკას.


1.8 მობილობა

წარსულში, საქართველოში შიდა მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებს შორის იყო შიდა კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები და ომები. ამგვარი მოვლენების შემდეგ

მოსახლეობა გადაადგილდებოდა და იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა თუ განათლების მიღების მიზნით. მოსახლეობის 2014 წლის აღწერით 1 142 011 პირს მუდმივ მიგრაციაში მყოფის კატეგორიზაცია მიენიჭა, ე.ი. პირის, რომელიც აღწერის მომენტში ცხოვრობდა დაბადების ადგილისაგან განსხვავებულ ტერიტორიაზე. ამასთან, ქვეყნის ფარგლებს შიგნით მუდმივ მიგრაციაში მყოფ პირებს შორის ქალების რაოდენობა (703 406) მნიშვნელოვნად აღემატებოდა მამაკაცებისას (438 605). 2014 წლამდე, ბოლო 5 წლის განმავლობაში (2010 – 2014 წწ.), 162 933 პირმა შეიცვალა საცხოვრებელი მუნიციპალიტეტი და მათ შორისაც ქალების რაოდენობა (101 962) აღემატებოდა მამაკაცებისას (60 971). აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მონაცემით მუდმივ მიგრაციაში მყოფ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე დაფიქსირდა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის დროს.

2014 წლამდე, ბოლო 5 წლის განმავლობაში, სხვა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მეტმა ახალგაზრდამ შეიცვალა საქართველოს შიგნით საცხოვრებელი ადგილი და გადავიდა სხვა მუნიციპალიტეტში. ყველაზე მაღალი მობილობა დაფიქსირდა 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში; ამასთან, ამ ასაკობრივ ჯგუფშიც უფრო

გრაფიკი 1.16: ბოლო 5 წლის პერიოდში სხვა დასახლებებიდან გადაადგილებული მოსახლეობა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გრაფიკი 1.17: ბოლო 5 წლის პერიოდში სხვა ქვეყნებიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული მოსახლეობა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მეტ ქალს ჰქონდა შეცვლილი საცხოვრებელი ადგილი, ვიდრე მამაკაცს (იხ. გრაფიკი 1.16). ეს იმას ნიშნავს, რომ მობილობის გამო, ახალგაზრდები წარმოადგენენ საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტების დონეზე შექმნილი მრავალფეროვნების ძირითად მიზეზს.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს, საერთაშორისო მასშტაბით ემიგრაციაზე ინფორმაციის შეგროვება წარმოებდა სპეციალური საემიგრაციო ფორმის საშუალებით. თუმცა, არსებობს სერიოზული ეჭვები ამ ფორმების საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის სრულყოფილებასა და სანდოობასთან დაკავშირებით. მოსახლეობის აღწერის პერიოდში მხოლოდ 88 541 ფორმა იქნა შეგროვილი. საქართველოში მოსახლეობის დინამიკის შესახებ მონოგრაფიის თანახმად, რომელიც ეფუძნება მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებს (Hakkert, 2017), 2002 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში, საქართველოს ტერიტორია 6 თვით ან მეტი დროით დატოვა დაახლ. 1,15 მილიონმა პირმა. ამგვარი სხვაობა მონაცემებს შორის მეტყველებს მასზე, რომ მოსახლეობის აღწერის დროს გამოყენებული მიგრაციის ფორმის საფუძველზე შეუძლებელია განისაზღვროს იმ ახალგაზრდების შესახებ ზუსტი მონაცემები, რომლებმაც საქართველოს საზღვრები დატოვეს. რაც შეეხება საქართველოში მიგრაციას, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს 66 230 პირმა განაცხადა, რომ მათ დაბადების ადგილს არ წარმოადგენდა საქართველო. აქვე დადგინდა, რომ მოსახლეობის აღწერამდე 5 წლის პერიოდში, 50 769 პირი ჩამოვიდა სხვა ქვეყნებიდან საქართველოში საცხოვრებლად (გრაფიკი 1.17). იმ პირთა უმრავლესობას, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში სხვა ქვეყნებიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოვიდნენ, ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. ამ პერიოდში საქართველოში საცხოვრებლად

ჩამოსული პირების უმრავლესობა 25–29 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა და 6 618 პირს შეადგენდა. ამ ჯგუფში მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო და შეადგენდა 3 284 და 3 334 ახალგაზრდას, შესაბამისად.

2. ქორწინება, შობადობა და შინამეურნეობის სტრუქტურა

2.1 ქორწინების სახეები


დემოგრაფიული მოვლენები მნიშვნელოვან ნიშნულს წარმოადგენს თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ადამიანის ცხოვრებაში წარმოადგენს ცხოვრების თანამგზავრის არჩევა, ქორწინება ან მუდმივი პარტნიორის არჩევა. უმეტეს შემთხვევაში, მსგავს გადაწყვეტილებას ადამიანი ახალგაზრდობაში იღებს და, ამგვარად, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადის. ქორწინება არის მოვლენა, რომელიც განაპირობებს ადამიანის ცხოვრების წესისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლას. ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისას, ერთგვარ პრობლემას ქმნის ის, რომ გამოკითხულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა – განსაკუთრებით ახალგაზრდები – არ პასუხობენ კითხვას ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ. გამოკითხული 3 022 475 პირიდან, 91 160 პირმა, რომლებიც 15 წლისა და უფროსი ასაკის იყო, არ გასცა პასუხი კითხვას მათი ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ. თუმცა, მათი უმრავლესობა, რომლებმაც ამ კითხვას პასუხი არ გასცა, ამ ასაკობრივი ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენლები იყვნენ. 41 992 პირიდან, რომლებიც მოსახლეობის აღწერის პერიოდში 15 წლის იყო, 34 პროცენტმა (14 322 პირი) არ უპასუხა კითხვას მათი ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ. წინამდებარე ანალიზის მიღმა დარჩნენ ის პირები, რომელთა ქორწინებითი მდგომარეობაც გაურკვეველი იყო და შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა მოხდა მხოლოდ იმ პირების საფუძველზე, რომელთა შესახებაც ინფორმაციაც ხელმისაწვდომი იყო. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი მიდგომის შედეგად მიღებული მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურ მონაცემებად, განსაკუთრებით

მცირე ასაკის მოსახლეობის შემთხვევაში. მაგ., როცა კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით, ახალგაზრდა პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში, არ უსვამენ ქორწინებით მდგომარეობასთან დაკავშირებულ კითხვას. აღსანიშნავია, რომ 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქორწინებით მდგომარეობასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხი არ გასცა მამაკაცების 10,0-მა და ქალების 6,8-მა პროცენტმა.


გრაფიკებზე 2.1 და 2.2 ნაჩვენებია 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფილი მამრობითი და მდედრობითი სქესის ახალგაზრდების პროცენტული წილი, ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. აქ ნათლად ჩანს ახალგაზრდა მამაკაცებსა და ქალებს შორის ქორწინებით მდგომარეობასთან დაკავშირებული განსხვავება. 15-დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მამაკაცების 96,5 პროცენტი და ქალების 85,6 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. ახალგაზრდების უმეტესობა ქორწინდება 20-დან 30 წლამდე ასაკში. 25-29 წლის ასაკის მამაკაცების 53,6 და ქალების 72,4 პროცენტი დაქორწინებულია. ამ ასაკობრივ ჯგუფში ძალიან დაბალია ქვრივთა პროცენტული წილი, ვინაიდან ქვრივებად ახალგაზრდები მცირე დროის განმავლობაში რჩებიან. 25-29 წლის მამაკაცებში მცირეა განქორწინებულთა პროცენტული წილი (1,8 პროცენტი), მაგრამ გაცილებით მაღალია ამ ასაკის ქალებში. 25-29 წლის ასაკის ქალებში განქორწინებულთა წილი შეადგენს 4,5 პროცენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლ. 20 ქალიდან ერთი განქორწინებულია.

1999, 2005 და 2010 წლებში საქართველოში ჩატარდა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამი ეროვნული მასშტაბის კვლევა, რომელთა შესწავლის საგანს ქვეყანაში რეპროდუქციული ქცევის ცვლილება წარმოადგენდა. აღნიშნულმა

გრაფიკი 2.1: 15 – 29 წლის ასაკის მამაკაცების ქორწინებითი მდგომარეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



გრაფიკი 2.2: 15 – 29 წლის ასაკის ქალების ქორწინებითი მდგომარეობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



კვლევებმა აჩვენა, რომ 1999 წლიდან 2010 წლამდე, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი შემცირდა 16,0-დან 12 პროცენტამდე, ხოლო 2010 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა

11 პროცენტი. (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახური, რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება/დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები, გაეროს მოსახლეობის ფონდი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, 2012 წ.; დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2005 წ.; და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2000 წ.). მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების თანახმად, აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და დააფიქსირა, რომ 15-19 წლის ქალების 13,7 პროცენტი იყო დაქორწინებული. თუმცა, ვინაიდან აღნიშნულ აღწერაში გათვალისწინებული იყო, როგორც რეგისტრირებული, ასევე არარეგისტრირებული ქორწინებები, შესაძლებელია დაფიქსირებული სხვაობა ქორწინების იმ განსხვავებული განმარტებების შედეგად იყოს, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩატარებულ კვლევებში იქნა გამოყენებული. აგრეთვე, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ვინაიდან მდებარეობითი სქესის ახალგაზრდების ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არასაკმარისი იყო, მოსახლეობის აღწერის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, შესაძლებელია არ ასახავდეს რეალურ სურათს.

გრაფიკი 2.3 აჩვენებს 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, დაქორწინებული ახალგაზრდების და იმ ახალგაზრდების რაოდენობას, ვინც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, წლოვანებისა და სქესის მიხედვით. გრაფიკის მიხედვით დგინდება, რომ ასაკის მატებასთან ერთად მცირდება იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არასდროს

ყოფილან ქორწინებაში, ხოლო დაქორწინებული ახალგაზრდების პროცენტული წილი იზრდება. აქვე ნათლად ჩანს, რომ ქალები გაცილებით ადრე ქორწინდებიან, ვიდრე მამაკაცები. 25 წლის ასაკში, ქალების 66,1, ხოლო, მამაკაცების - 42,8 პროცენტია დაქორწინებული. ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი³ წარმოადგენს ფართოდ გამოყენებულ დემოგრაფიულ მაჩვენებელს. ყველა ტიპის (რეგისტრირებული და არარეგისტრირებული) ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისათვის შეადგენს 22,9 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის - 27,5 წელს, ანუ ქორწინების საშუალო ასაკის თვალსაზრისით, სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის შეადგენს 4,6 წელს. ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში, ქორწინების საშუალო ასაკის თვალსაზრისით 2-წლიანი სხვაობა აღინიშნება საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის (21,6 და 23,6 წელი, შესაბამისად) მაშინ, როცა მამაკაცებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა (27,4 და 27,7 წელი, შესაბამისად). უნდა აღინიშნოს, რომ 29 წლის ასაკში ქალების 17,4 და მამაკაცების 35,3 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში.


ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით, იმ ახალგაზრდების წილის ანალიზისას, რომლებიც არასდროს ყოფილან ქორწინებაში, აშკარად იკვეთება, რომ ორივე ტიპის დასახლებებში მცხოვრები იმ მამაკაცების რაოდენობა, ვინც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში აღემატება ამავე კატეგორიის ქალების რაოდენობას. ამ თვალსაზრისით სხვაობა მამაკაცებსა და ქალებს შორის ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია, საქალაქო-სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ 20-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში. გრაფიკი 2.3 ასევე ცხადყოფს, რომ ქალები უფრო ადრეულ ასაკში ქორწინდებიან, ვიდრე მამაკაცები და რომ ქორწინების საშუალო ასაკის თვალსაზრისით უმნიშვნელო სხვაობა არსებობს საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებს შორის. რაც შეეხება ქალებს, სასოფლო დასახლებებში ისინი გაცილებით ადრეულ ასაკში ქორწინდებიან, ვიდრე საქალაქო დასახლებებში. 15-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები

14. ქორწინებითი მდგომარეობა (15 წლის და უფროსი ასაკის პირთათვის, გამოწვევის შემთხვევების გარდა)


<input type="checkbox"/> იმყოფება ქორწინებაში	<input type="checkbox"/> არასოდეს ყოფილა დაქორწინებულ
<input type="checkbox"/> რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება?	<input type="checkbox"/> მჭრივი
<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> განქორწინებული/განშორებული

³ ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი (SMAM) არის დემოგრაფიული მეთოდი, რომლის დროსაც წარმოებს ქორწინების გარეშე გატარებული საშუალო პერიოდის გამოანგარიშება, მოსახლეობის იმ კატეგორიისათვის, რომელიც საბოლოოდ ქორწინდება 50 წლამდე ასაკში. ამ ინდიკატორის გამოანგარიშება ხდება მოსახლეობის აღწერის, ან კვლევების საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მონაცემებს მოსახლეობის იმ ნაწილის პროცენტული წილის შესახებ, რომლებიც არასდროს ყოფილან ქორწინებაში, ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. აღნიშნული მეთოდი დაამუშავდა ჰაქნალმა (Hajnal, 1953).

გრაფიკი 2.3: 15–29 წლის ქორწინებაში მყოფი და ქორწინებაში არასდროს მყოფი მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით



გრაფიკი 2.4: 15–29 წლის ასაკის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, ვინც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით




ქალების 90,1 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში; სასოფლო დასახლებებში ეს მაჩვენებელი 78,6 პროცენტს შეადგენს. 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების 25,4 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, ხოლო სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების შემთხვევაში - 17,4 პროცენტი.

2.2 რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებები

პირებს, რომლებიც აღწერას აწარმოებდნენ, ევალებოდათ ჩაენიშნათ 15 წელზე უფროსი ასაკის ყველა გამოკითხულის ქორწინებითი მდგომარეობა. იმ პირებს, ვინც ქორწინებაში იმყოფებოდა, ასევე უნდა ეპასუხათ კითხვაზე იყო თუ არა ქორწინება რეგისტრირებული. არარეგისტრირებული ქორწინება

გრაფიკი 2.5: 15–29 წლის ასაკის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, სქესის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გულისხმობს წყვილის თანაცხოვრებას ფორმალური (რეგისტრირებული) ქორწინების გარეშე. ეს შესაძლებელია გამხდარიყო ცდომილების მიზეზი, ვინაიდან პირებს, რომლებიც მუდმივ პარტნიორთან დაურეგისტრირებელ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, შესაძლოა პასუხში დაეფიქსირებინათ, რომ ისინი დაქორწინებულები არ იყვნენ.

15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 76 817 მამაკაცმა და 128 609 ქალმა განაცხადა, რომ ისინი ოფიციალურად დაქორწინებულნი იყვნენ, ხოლო 25 891 მამაკაცმა და 39 376 ქალმა განაცხადა, რომ ისინი იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ამგვარად, 15–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მამაკაცები, სულ დაქორწინებული მამაკაცების 13,1 პროცენტს შეადგენენ; ხოლო იგივე ასაკობრივ ჯგუფში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალები, სულ დაქორწინებული ქალების 13,3 პროცენტს შეადგენენ. 15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია და მამაკაცების შემთხვევაში 32,2 პროცენტს, ხოლო ქალების შემთხვევაში 28,3 პროცენტს შეადგენს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ

არარეგისტრირებული ქორწინებები ფართოდ არის გავრცელებული უფრო მცირე ასაკის ახალგაზრდებში. გრაფიკზე 2.5 ნაჩვენებია ქორწინებაში მყოფი იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებმაც განაცხადეს, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. გრაფიკიდან აშკარაა, რომ მცირე ასაკის ახალგაზრდები ძირითადად არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. მაგ., 17 წლის ასაკის დაქორწინებული ახალგაზრდების 60 პროცენტი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება; ხოლო 20 წლის დაქორწინებულ ახალგაზრდებში, ეს მაჩვენებელი 35,1 პროცენტს შეადგენს. მოცემული გრაფიკის შესწავლისას გასათვალისწინებელია ის, რომ მცირე ასაკის ახალგაზრდების ჯგუფში ძალიან ცოტაა დაქორწინებული: მთელი ქვეყნის მასშტაბით, 15 წლის ასაკის მხოლოდ 447 ახალგაზრდა იყო ქორწინებაში, 16 წლის ასაკის – 718 ახალგაზრდა და 17 წლის ასაკის – 1 316 ახალგაზრდა. საინტერესოა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გარდა 17 წლის ასაკობრივი ჯგუფისა (აქ შესაძლოა მოპასუხეთა რაოდენობის სიმცირემ დაარღვია დინამიკა), დაქორწინებულ ახალგაზრდებს შორის არარეგისტრირებულ


ქორწინებაში მყოფი მამაკაცების პროცენტული წილი აღემატება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს. ხოლო 29 წლის ასაკის ახალგაზრდებში აღნიშნული მაჩვენებლები მამაკაცებისა და ქალების შემთხვევაში თითქმის თანაბარია.

გრაფიკზე 2.6 ნაჩვენებია არარეგისტრირებული ქორწინებების სრული რაოდენობა. მოსახლეობის ეს პირამიდა გვაჩვენებს ინფორმაციას ახალგაზრდების ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ, სქესისა და ასაკის ჭრილში, რაოდენობების მითითებით. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ან დასაქორწინებელია ან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, დაფიქსირდა ახალგაზრდების დიდი ჯგუფი, რომლებიც პარტნიორთან ერთად ცხოვრობენ ე.ი. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან.

დემოგრაფიული გადასვლა განიმარტება,

როგორც ტენდენცია, რომელიც ხასიათდება შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა შემცირებით. აღნიშნული ტენდენცია მე-19 საუკუნეში ევროპის ქვეყნებში დაიწყო და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გავრცელდა მე-20 საუკუნის განმავლობაში. თავდაპირველად, მკვლევარები მიიჩნევდნენ, რომ პირველი დემოგრაფიული გადასვლის შემდეგ, მივიღებდით სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნებოდა სტაბილურად დაბალი შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელი და, რომელიც, საბოლოო ჯამში, უცვლელ მოსახლეობას მოგვცემდა. თუმცა, ამ თეორიით ნაგულისხმევი ახალი, მყარი ბალანსი არ ჩამოყალიბდა, რამაც წარმოშვა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა სრულიად ახალ მოვლენას და მას „მეორე დემოგრაფიული გადასვლა“ ეწოდა; აღნიშნული ტერმინი 1986 წელს დანერგეს მკვლევარებმა: ვან დე კამ და ლესტაგემ. ბევრ ქვეყანაში მეორე დემოგრაფიული

გრაფიკი 2.6: 15–29 წლის ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა, ასაკის, სქესისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გადასვლა გამოწვეული იყო ქორწინებისა და ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული სოციალური ქცევის ნორმებსა და ღირებულებებში მომხდარი სიღრმისეული ცვლილებებით. ევროპის მრავალ ქვეყანაში აღნიშნული ცვლილებების შედეგები მოიცავდა შობადობის სტაბილურად დაბალ დონეს, ქორწინების გარეშე თანაცხოვრების სახეების გაჩენას და ქორწინებასა და შობადობას შორის არსებული კავშირის დარღვევას (Van de Kaa, 2002).

შინჯიაშვილის (2006) ნაშრომში, რომელიც საქართველოში ქორწინებასთან დაკავშირებულ ტენდენციებს ეძღვნება, აღნიშნულია, რომ 1990 წლებიდან მოყოლებული, საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქორწინების სტატისტიკამ. აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება თბილისში 771 სტუდენტის მონაწილეობით წარმოებულ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას. ნაშრომში დასკვნის სახით ნათქვამია, რომ: „ქორწინებასთან დაკავშირებული თანამედროვე ტენდენცია საქართველოში ხასიათდება გვიანი ქორწინებით, ქორწინებათა რაოდენობის შემცირებითა და თანაცხოვრების ფორმების გავრცელებით, შობადობის შემცირებით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობის ზრდით“. შინჯიაშვილის მიერ გაკეთებული დასკვნები გულისხმობს იმას, რომ საქართველო სხვა ევროპული ქვეყნების რიგებს შეუერთდა და, რომ აქაც ადგილი აქვს მეორე დემოგრაფიულ გადასვლას. მოსახლეობის 2014 წლის აღწერა ცხადყოფს, რომ საქართველოში მართლაც დაიწყო მეორე დემოგრაფიული გადასვლის ციკლი: ა) წლების განმავლობაში, გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა - 15 წლის და უფროსი ასაკის ქალების 4,3 პროცენტი და მამაკაცების 2,3 განქორწინებული იყო, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად; ბ) ბავშვების მნიშვნელოვანი რაოდენობა (დაახლ. ერთი მესამედი) ქორწინების გარეშე იბადება; და გ) მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ახალგაზრდა წყვილების რაოდენობა, რომლებიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან.

სოციალური ფასეულობების ცვლილებით

განპირობებული, ამ ახალმოცენებული დემოგრაფიული ტენდენციების მიუხედავად, საქართველო მაინც რჩება ოჯახის და შობადობის თვალსაზრისით ტრადიციულ, კონსერვატიულ ქვეყანად. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ წარმოებული მოსახლეობის სიტუაციური ანალიზის თანახმად, საზოგადოებაში ზოგადად იგმოება განქორწინება, მარტოხელა დედობა და სექსუალური ურთიერთობები ქორწინებამდე (80 პროცენტი ამ მოვლენებს უარყოფითად აფასებს). არსებული მონაცემებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ აისახება სოციალური ცვლილებები ქორწინებასთან დაკავშირებულ ქცევაზე. მაგ., შეუძლებელია 2002 წელსა და 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დროს ქორწინების თაობაზე მოპოვებული მონაცემების ერთმანეთთან შედარება, ვინაიდან მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროს არ მომხდარა რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებების ცალ-ცალკე იდენტიფიცირება. საჭიროა შემდგომი კვლევის წარმოება არსებული ტენდენციის გამოსავლენად და იმის გასარკვევად, თუ რა ცვლილებას განიცდის საქართველო დემოგრაფიულ ასპექტში.

2.3 ადრეული ქორწინება

ადრეული ან ბავშვთა ქორწინება განიმარტება, როგორც „რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს ჯერ არ შესრულებია 18 წელი. ვინაიდან ამგვარ კავშირში მონაწილე მხარე არის არასრულწლოვანი, მას არ შეუძლია განაცხადოს თანხმობა ქორწინებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრეული ქორწინება უნდა ჩაითვალოს ადამიანის უფლებებისა და ბავშვის უფლებების დარღვევად“ (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2014).


საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1108 მუხლის თანახმად, საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. 2014 წელს, 16 წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვებოდა მშობლების ან სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში,

როგორცაა მაგ., ორსულობა.⁴ თუმცა, 2015 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან, საქორწინო ასაკად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, განისაზღვრა 18 წელი. მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში 20-24 წლის ქალების დაახლ. 17 პროცენტი 18 წლის ასაკისთვის უკვე იყო დაქორწინებული ან სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა. (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, 2016 წ.). ეს მონაცემი ეყრდნობა 2005 წლის მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევის შედეგებს. ახლახან, 2010 წლის ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევამ დაადგინა, რომ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ქალების 14 პროცენტი დაქორწინდა 18 წლის ასაკის მიღწევამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, ბავშვთა ქორწინებების დარეგისტრირება არ წარმოებს და, შესაბამისად, პრობლემა შესაძლებელია კიდევ უფრო მწვავედ იდგეს. გარდა ამისა, 16 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში ქორწინების დარეგისტრირება დაუშვებელია. ძალიან ხშირად, ადრეული

ქორწინება უკავშირდება სწავლა-განათლების შეწყვეტას, უარყოფითად აისახება ბავშვის ჯანმრთელობაზე და აქვეითებს ადამიანის პოტენციალს - რაც პიროვნებას მოწყვლადს ხდის ადრეული ასაკიდან.

როგორც გრაფიკზე 2.7 ჩანს, ადრეული ქორწინების (როგორც რეგისტრირებული, ასევე არარეგისტრირებული) შემთხვევები უფრო ხშირია გოგონებში. აღსანიშნავია, რომ სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 15-დან 18 წლამდე გოგონები უფრო ხშირად ქორწინდებიან ადრეულ ასაკში, ვიდრე საქალაქო დასახლებებში მცხოვრები იგივე ასაკის გოგონები. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები 15 წლის გოგონებში ქორწინების 158 შემთხვევა დაფიქსირდა მაშინ, როცა სასოფლო დასახლებებში იგივე ასაკის 319 გოგონა იყო დაქორწინებული. ვაჟებში ადრეული ქორწინების შემთხვევების რაოდენობა მეტ-ნაკლებად თანაბარია საქალაქო და სასოფლო დასახლებებში. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ გამოიკითხა მხოლოდ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა.

გრაფიკი 2.7: ქორწინებაში მყოფი 15-18 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

⁴ გაეროს მოსახლეობის ფონდი (2014 წ.). ბავშვთა ქორწინება საქართველოში (დასკვნები). მისამართი : <http://eeca.unfpa.org/publications/child-marriage-georgia-summary> წვდომის თარიღი: 2017 წლის 31 ივლისი

⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (2016). მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიში. მისამართი: https://www.unicef.org/publications/files/UNICEF_SOWC_2016.pdf წვდომის თარიღი: 2017 წლის 31 ივლისი

⁶ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილება, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (DRH/ CDC) (2012). რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა - საქართველო 2010: საბოლოო ანგარიში.

⁷ ვინაიდან პირველი ქორწინებისას ასაკი, როგორც წესი, არ შედის მოსახლეობის აღწერის ძირითად კითხვათა ჩამონათვალოში, 2014 წლის აღწერის დროს ამ ფენომენის შესახებ ინფორმაციის შეგროვება არ მოხდარა და, შესაბამისად, ამ ინდიკატორის გამოთვლა აღწერის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია.

შესაბამისად, არ გვაქვს მონაცემები 15 წლამდე ასაკის პირთა ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ.


15-18 წლის ახალგაზრდებში ქორწინების რეგისტრაციის საკითხის განხილვისას, გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევები გაცილებით ხშირია, ვიდრე რეგისტრირებული. მაგ., 16 წლის ახალგაზრდებში, ორივე სქესის წარმომადგენელთა შემთხვევაში, დაფიქსირდა 371 რეგისტრირებული და 718 არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევა. 17 წლის ახალგაზრდებში, აღირიცხა 904 რეგისტრირებული და 1 316 არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევა. თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენენ 18 წლის გოგონები, რომელთა შემთხვევაშიც დაფიქსირდა 1 751 რეგისტრირებული და 1 497 არარეგისტრირებული ქორწინება.

გრაფიკზე 2.9 ნაჩვენებია ქორწინებაში მყოფი 15-18 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი, რეგიონების მიხედვით. 15 წლის ასაკში, დაქორწინებული ახალგაზრდების ყველაზე დიდი წილი დაფიქსირდა ქვემო ქართლში, სადაც ამ ასაკობრივი ჯგუფის 2,9 პროცენტი, ანუ 152 ახალგაზრდა ქორწინებაში იმყოფებოდა, რაც საგრძნობლად აღემატება ამ ასაკის ახალგაზრდებში ქვეყნის მასშტაბით

დაფიქსირებულ საშუალო მაჩვენებელს (1,5 პროცენტი). ქორწინებაში მყოფი 16 და 17 წლის ახალგაზრდების ყველაზე დიდი წილი დაფიქსირდა ქვემო ქართლში (5,6 და 8,7 პროცენტი) და კახეთში (4,9 და 7,2 პროცენტი), რაც ასევე საგრძნობლად აღემატება ამ ასაკის ახალგაზრდებში ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულ საშუალო მაჩვენებელს (2,8 და 4,9 პროცენტი). ორივე რეგიონში ვხვდებით დიდი რაოდენობით მუსლიმებს - ამ საზოგადოებებში გოგონების ადრეულ ასაკში ქორწინება მიღებული პრაქტიკაა. იგივე რეგიონებში აღირიცხა ქორწინებაში მყოფი 18 წლის ახალგაზრდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ისევე, როგორც შიდა ქართლში და გურიაში. ადრეული ქორწინების წილი ყველაზე მცირეა თბილისში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და სამცხე-ჯავახეთში.

ბევრ ქვეყანაში, სადაც ხშირია ადრეული და ბავშვთა ქორწინების შემთხვევები, მეუღლეებს შორის, როგორც წესი, დიდი ასაკობრივი სხვაობა არსებობს, რადგანაც აქ ასაკოვანი მამაკაცები ქორწინებიან მცირეწლოვან გოგონებზე. საქართველოში აღნიშნული ტენდენცია არ ფიქსირდება. 2015 წელს, ქორწინებაში მყოფი 18 წლამდე ასაკის გოგონების 76 პროცენტი დაქორწინებული იყო 25 წლამდე ასაკის მამაკაცებზე, ხოლო ამავე ჯგუფის 96 პროცენტი - 30 წლამდე ასაკის მამაკაცებზე (Hakkert, 2017).

გრაფიკი 2.8: რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებები 15-18 წლის მოსახლეობაში, სქესის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა


2.4 შობადობა

შობადობის ანალიზისას, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების შედარებამ სხვა მონაცემებთან მნიშვნელოვანი ცდომილება აჩვენა - შესაბამისად, ვერ მოხერხდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ზუსტად დადგენა. ჰაკერტის დასკვნით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,0-ს შეადგენს (Hakkert, 2017). წინამდებარე ანგარიშის მოცემულ ნაწილში ყურადღება არ არის იმდენად გამახვილებული შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტზე, რამდენადაც ახალგაზრდა ქალებში შობადობის საკითხზე. გრაფიკი 2.10 გვაჩვენებს ინფორმაციას საქართველოს მასშტაბით 15-29 წლის ასაკის ქალებში შობადობის შესახებ; აქ მოცემულია ცოცხლადშობილი ბავშვების პროცენტული წილი, ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მოსახლეობის აღწერის

პერიოდისათვის, 15 წლის ასაკის გოგონების მხოლოდ 0,7 პროცენტს ჰყავდა ერთი ბავშვი. აღწერის დროს შობადობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება წარმოებდა მხოლოდ 15 წლისა და უფროსი ასაკის მდედრობითი სქესის მოსახლეობიდან. 15 წლის ასაკის გოგონების მცირე რაოდენობას ჰყავდა გაჩენილი ბავშვი, რაც დასტურია იმისა, რომ 15 წლამდე ასაკის გოგონებში შობადობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია.

წლების მატებასთან ერთად იზრდება იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც გაჩენილი ჰყავთ ბავშვი. 18 წლის გოგონების 8,0 პროცენტს გაჩენილი ჰყავს ერთი ბავშვი, ხოლო 1,3 პროცენტს - ორი ბავშვი. იმ ქალების დაახლ. მეოთხედს, რომელთაც მოსახლეობის აღწერამდე ერთი წლით ადრე შეუსრულდათ 20 წელი, გაჩენილი ჰყავთ მინიმუმ ერთი ბავშვი. 25 წლის ასაკის ქალების ერთ მესამედზე ოდნავ

გრაფიკი 2.9: ქორწინებაში მყოფი 15 - 18 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი რეგიონების მიხედვით




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მეტს ბავშვი ჯერ არ გაუჩენიათ; ამავე ასაკის ქალების 31,2 პროცენტს გაჩენილი ჰყავდა ერთი ბავშვი; 27,9 პროცენტს - ორი ბავშვი, ხოლო 4,2 პროცენტს - სამი ბავშვი. ამ ასაკის ქალების ძალიან მცირე რაოდენობას - 0,3 პროცენტს - გაჩენილი ჰყავს ოთხი ბავშვი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად (2016), მოზარდთა შობადობის წილი მსოფლიოში შობადობის 11 პროცენტს შეადგენს, თუმცა მოზარდთა შობადობაზე მოდის ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებების 23 პროცენტი. ძალიან ადრეულ ასაკში მშობიარობა სერიოზულ რისკს წარმოადგენს როგორც დედის, ასევე ბავშვის ჯანმრთელობისთვის. ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებებისა და არაუსაფრთხო აბორტების წყალობით, მოზარდთა შობადობის 15-დან 19 წლამდე ასაკის გოგონების მოკვდაობის რიგით მეორე გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. რაც უფრო მცირეწლოვანია დედა მშობიარობის პერიოდში, მით მეტია

მშობიარობისას გარდაცვალების ალბათობა. მსოფლიო მასშტაბით, 20 წლამდე ასაკის გოგონების მიერ გაჩენილ ბავშვებში, ბავშვთა მოკვდაობა 50 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე 20-29 წლის ქალების მიერ გაჩენილ ბავშვებში. 2014 წლის ჯანდაცვის მსოფლიო სტატისტიკის ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით მოზარდთა შობადობა, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, შეადგენდა 49 შემთხვევას ყოველ 1 000 გოგონაზე, რაც 1990 წლის მონაცემებთან შედარებით მოზარდთა შობადობის მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებაზე მიუთითებს (ჯანმო, 2016 წ.). დედათა მოკვდაობის შემთხვევათა შესამცირებლად მნიშვნელოვანია, როგორც არასასურველი ორსულობის, ასევე ადრეულ ასაკში ორსულობის პრევენცია. ამ მიმართულებით სასიცოცხლო მნიშვნელობისა კონტრაცეპტივებისა და უსაფრთხო, კანონიერი აბორტების ხელმისაწვდომობა და აბორტის შემდგომ სათანადო მოვლა და მკურნალობა (ჯანმო, 2016 წ.). გარდა იმისა, რომ მოზარდთა შობადობა უარყოფითად აისახება, როგორც ახალგაზრდა

გრაფიკი 2.10: ქალების პროცენტული წილი, ცოცხლადშობილი ბავშვების რაოდენობისა და დედის ასაკის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა


დედის, ასევე ბავშვის ჯანმრთელობაზე, მას ასევე სერიოზული უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები მოაქვს. ბევრი გოგონა, რომელიც ორსულდება ადრეულ ასაკში, წყვეტს სკოლაში სწავლას ან აღარ აგრძელებს განათლების მიღებას. შედეგად, გოგონებს საკუთარ მომავალზე ზრუნვისათვის ნაკლები უნარები და შესაძლებლობები აქვთ, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით უარყოფითად აისახება არა მარტო პიროვნებაზე, არამედ საზოგადოებაზეც (ჯანმო, 2014 წ.).

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის საფუძველზე მოზარდთა შობადობის მაჩვენებლის გამოთვლა (ე.ი. 15-19 წლის მოზარდებს შორის შობადობის რაოდენობის განსაზღვრა) შეუძლებელია. ეს განპირობებულია იმით, რომ აღწერის დროს დაფიქსირდა ნებისმიერ დროს დაბადებული ბავშვების რაოდენობა და არ მოხდა აღწერამდე 12 თვით ადრე პერიოდში დაბადებული ბავშვების რაოდენობის მითითება (ეს უკანასკნელია არ წარმოადგენს გაეროს ძირითად რეკომენდაციას). ნებისმიერ დროს დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით შეუძლებელია განისაზღვროს დედის ასაკი ბავშვის დაბადებისას. საქართველოში ახალგაზრდა ქალთა რეპროდუქციული ქცევისა და საჭიროებების შესახებ ანგარიშის (Ross, 2012) მიხედვით მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი 2010 წელს შეადგენდა 39 შემთხვევას ყოველ 1 000 ქალზე. აღნიშნული დასკვნა გაკეთდა საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის საბოლოო ანგარიშის

საფუძველზე (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2012 წ.). ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის წინაორი კვლევის (1999 და 2005 წლებში ჩატარებული კვლევები) შედეგებთან შედარებისას, ირკვევა, რომ მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი შემცირებულია: 2005 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 15 – 19 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეადგენდა 47 შემთხვევას ყოველ 1 000 ქალზე; ხოლო 1999 წელს – 65 შემთხვევას ყოველ 1 000 ქალზე (Ross, 2012).

მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მოზარდთა შორის შობადობის მაჩვენებელი მაღალია. გრაფიკზე 2.11 ნაჩვენებია, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის, საქართველოში მოზარდებში შობადობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. რამდენიმე ქვეყანაში მოზარდთა შობადობის თითქმის თანაბარი და დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ყოველ 1 000 15-19 წლის მოზარდზე: სომხეთში (22,5 შემთხვევა), აზერბაიჯანში (22,5), მოლდავეთში (22,0), რუსეთში (22,7) და უკრაინაში (23,3). ბულგარეთში მოზარდთა შორის შობადობის მაჩვენებელი თითქმის უთანაბრდება საქართველოს მაჩვენებელს და შეადგენს 36,8 შემთხვევას ყოველ 1 000 ქალზე, შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ქვეყნების მაჩვენებლები 2015 წლის ინფორმაციას ეყრდნობა მაშინ, როცა საქართველოს მონაცემები – 2010 წლის ინფორმაციას. შობადობის კლების წარსულში

გრაფიკი 2.11: მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი (შობადობა ყოველ 1,000 15-19 წლის ქალზე); საქართველო და შავიზღვისპირეთის სხვა ქვეყნები



დაფიქსირებული ტენდენციის ფონზე, 2015 წელს საქართველოშიც შესაძლოა რეალურად მოზარდთა შორის შობადობის უფრო დაბალი მაჩვენებელი იყოს – ანუ 15-19 წლის ასაკის ყოველ 1 000 ქალზე 39-ზე ნაკლები შემთხვევა.


პირველი ბავშვის დაბადება მნიშვნელოვანი გარდატეხაა თითოეული ქალის ცხოვრებაში და დედებისა და მამების უმეტესობისთვის წარმოადგენს მომენტს, რომელიც მათ ცხოვრებას ძირეულად ცვლის. ამ მოვლენის დროულობის გამოშვების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას. ჩვეულებრივ, პირველი ბავშვის გაჩენისას დედის ასაკის გამოთვლა წარმოებს ქალებში ბავშვების გაჩენის ისტორიული სისხირების გათვალისწინებით, მაგრამ, ვინაიდან აღწერამ მხოლოდ ბავშვების დაბადების ინფორმაცია დააფიქსირა, პირველი ბავშვის გაჩენისას დედის საშუალო ასაკის გამოთვლა შეუძლებელია. ქორწინების საშუალო ასაკის გამოთვლისას გამოიყენება ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი რომლის გამოანგარიშებაც ხდება დაუქორწინებელი/არასოდეს ყოფილა ქორწინებაში და დაქორწინებული/ოდესმე ყოფილა ქორწინებაში მოსახლეობის წილების დაპირისპირების საფუძველზე. უფრო მეტიც, ნებისმიერი ასაკობრივი ოდესმე-არასოდეს დაპირისპირება შეიძლება გამოვთვალოთ იგივე მეთოდოლოგიით, რაც გამოიყენება პირობითი საშუალო ასაკის გამოსათვლელად. ფაქტობრივად ამგვარადვე არის შესაძლებელი პირველი ბავშვის გაჩენისას დედის პირობითი საშუალო ასაკის დადგენაც (Bongaarts, 2015). გარდა ამისა, ვინაიდან ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი (SMAM) და დედის პირობითი საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას (SMAFB) ერთი და იგივე მეთოდით გამოიანგარიშება, ამ მაჩვენებელთა შორის სხვაობა გვაძლევს მონაცემს, რომელიც შეესაბამება პირველ ქორწინებასა და პირველი ბავშვის გაჩენას შორის საშუალო ინტერვალს (Booth, 2001). პირველი ბავშვის გაჩენისას დედის პირობითი საშუალო ასაკი (SMAFB) დაანგარიშდა, როგორც ერთიანი მაჩვენებელი მთელი საქართველოს მასშტაბით და ასევე რიგი ქვეკატეგორიებისათვისაც. ამ გამოანგარიშების შედეგები გრაფიკულად არის გამოსახული გრაფიკზე 2.12.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის თანახმად, პირველი ბავშვის გაჩენისას დედის პირობითი

საშუალო ასაკი შეადგენდა 26,3 წელს. ამ მონოგრაფიის წინა თავში, სადაც საუბარი იყო ქორწინებაზე, აღინიშნა, რომ ქალებისთვის ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი (SMAM) შეადგენდა 22,9 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ქორწინებასა და პირველი ბავშვის გაჩენას შორის საშუალო ინტერვალს შეადგენს 3,4 წელს. მოსახლეობის დინამიკის თაობაზე გაკეთებულ ანგარიშში, ჰაკერტი (2017) აღნიშნავს, რომ საქართველოს მსგავს ქვეყნებში პირველი ბავშვი ჩნდება ქორწინებიდან ერთი ან ორი წლის შემდეგ. თუმცა, გემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქორწინებიდან ბავშვის გაჩენამდე ინტერვალის გაცილებით უფრო ხანგრძლივია.

გრაფიკზე 2.12 მაჩვენებია, რომ საქართველოში შობადობის მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობები ფიქსირდება. სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალები ბავშვებს საშუალოდ დაახლ. 3 წლით ადრე აჩენენ, ვიდრე საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალები (24,5 წლის და 27,3 წლის ასაკში, შესაბამისად). დაახლოებით ასეთივე განსხვავება ფიქსირდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. თბილისში მცხოვრები ქალები ბავშვებს გაცილებით უფრო გვიან ასაკში აჩენენ (28,6 წლის ასაკში), ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. კახეთში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში ვხვდებით ყველაზე ახალგაზრდა დედებს. ამ რეგიონებში ქალები პირველ ბავშვებს 4,5 წლით ადრე აჩენენ, ვიდრე თბილისში მცხოვრები ქალები. ვინაიდან საქართველოში მოსახლეობას ძირითადად მასას ქართველები შეადგენენ, ქართველ ქალებში პირველი ბავშვის გაჩენის საშუალო ასაკი ძალიან ახლოს არის ქვეყნის საერთო მაჩვენებელთან. ამერბაიჯანელი ქალები პირველ ბავშვებს დაახლ. 5,6 წლით ადრე აჩენენ, ვიდრე ქართველი ქალები. ის ფაქტი, რომ ამერბაიჯანელთა უმრავლესობა მუსლიმია, განაპირობებს ამერბაიჯანელი ქალების მიერ პირველი ბავშვის ადრეულ ასაკში გაჩენას (22,3 წლის ასაკში). ის ქალები, რომლებიც არც ერთი რელიგიის მიმდევრები არ არიან და ასევე მართლმადიდებელი ქრისტიანები, ყველაზე გვიან ასაკში აჩენენ პირველ ბავშვს (ასაკი საშუალო გამოანგარიშებით – 27 წელი და 26,8 წელი, შესაბამისად). ბუნებრივია, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალები ყველაზე გვიან აჩენენ ბავშვებს – 28,7 წლის ასაკში. რაც უფრო დაბალი საფეხურის განათლება

გრაფიკი 2.12: დედის პირობითი საშუალო ასაკი პირველი ბავშვის გაჩენისას, ქალების მახასიათებლების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

აქვთ მიღებული ქალს, საშუალოდ, მით უფრო ადრეულ ასაკში აჩენს ის ბავშვს. ყველაზე ადრეულ ასაკში ბავშვებს აჩენენ ქალები, რომლებსაც არ აქვთ მიღებული დაწყებითი განათლება, თუმცა არ არიან წერა-კითხვის უცოდინარნი. ისინი პირველ ბავშვს დაახლ. 22,4 წლის ასაკში აჩენენ. პირველი ბავშვის გაჩენისას დედის პირობითი საშუალო ასაკი ვერ დადგინდა წერა-კითხვის უცოდინარი ქალებისთვის, ვინაიდან ამგვარ შემთხვევათა საერთო რაოდენობა არასაკმარისი იყო.

2.5 შინამეურნეობის შემადგენლობა

ახალგაზრდის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი ზოგადი კეთილდღეობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმ შინამეურნეობაში არსებული გარემოთი, რომელშიც იგი ცხოვრობს. მაგ., მარტოხელა მშობლისთვის სირთულეს წარმოადგენს საკმარისი დროის გამონახვა იმისათვის, რომ შეათავსოს მუშაობა და ბავშვზე

სათანადო ზრუნვა. ამან შესაძლებელია პირდაპირ იმოქმედოს შინამეურნეობის შემოსავალზე და გაზარდოს სიღარიბის საფრთხე. ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ისეთ შინამეურნეობებში თუ დაწესებულებებში, სადაც მშობელთან კონტაქტს არიან მოკლებული, სიცოცხლეში დამატებით სირთულეებს აწყდებიან. გრაფიკზე 2.13 მოცემულია ინფორმაცია 0-დან 29 წლამდე ასაკის მოსახლეობის შესახებ, შინამეურნეობის შემადგენლობის (მშობლებთან ერთად ცხოვრების) გათვალისწინებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოში, 12 წლამდე ასაკის ბავშვების დაახლ. 5 პროცენტი ცხოვრობს მშობლების გარეშე. 1 წლის ასაკის ბავშვების 85,6 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობაში, სადაც ორივე მშობელია წარმოდგენილი. 15 წლის ახალგაზრდებში აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება და შეადგენს 73,9 პროცენტს; ამ ასაკის ბავშვების 14,9


პროცენტი მხოლოდ დედასთან ცხოვრობს, ხოლო 3,6 პროცენტი - მხოლოდ მამასთან. 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში იზრდება იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც დედის ან მამის გარეშე ცხოვრობენ. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ ასაკში ახალგაზრდები ტოვებენ მშობლების სახლს და მიემგზავრებიან სასწავლებლად, ან ქმნიან საკუთარ ოჯახებს. 23-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ნახევარი აღარ ცხოვრობს მშობლებთან ერთად. თუმცა, ბევრია 30 წლამდე ახალგაზრდაც, რომელიც მშობლებთან ცხოვრობს აგრძელებს. 28 წლის ასაკის ახალგაზრდების დაახლ. 30 პროცენტი ისევ საკუთარი მშობლების ან მშობლის შინამეურნეობის ნაწილს წარმოადგენს: 20,3 პროცენტი ცხოვრობს ორივე მშობელთან, 8,2 პროცენტი ცხოვრობს მხოლოდ დედასთან ერთად, ხოლო 1,8 პროცენტი - მხოლოდ მამასთან ერთად.

ახალგაზრდებში ერთსულიანი შინამეურნეობების რაოდენობა საქართველოში ძალიან მცირეა. 15-დან 29 წლის ასაკამდე ახალგაზრდებში მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც ერთსულიან შინამეურნეობაში ცხოვრობენ, შეადგენს 2,4 და 1,9 პროცენტს, შესაბამისად. 18 წლამდე ახალგაზრდებში ერთსულიანი შინამეურნეობების რაოდენობა ძალიან

მცირეა, თუმცა, 18 წლის ასაკში, როდესაც ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ტოვებენ მშობლიურ სახლს, აღნიშნული მაჩვენებელი 2,6 პროცენტს აღწევს ახალგაზრდა მამაკაცებში და 2,8 პროცენტს - ახალგაზრდა ქალებში. იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებიც მართო ცხოვრობენ მცირედით მაღალია 21 წლამდე ასაკის ქალებში. ეს თანხვედრაშია იმ ფაქტთან, რომ ახალგაზრდა ქალები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი უმაღლესი განათლების მიღების საქმეში. 21 წელზე უფროსი მამაკაცების პროცენტული წილი, რომლებიც მართო ცხოვრობენ მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩება და შეადგენს 2,5-დან 3,0-მდე პროცენტს მაშინ, როცა, მართო მცხოვრები ქალების პროცენტული წილი მკვეთრად მცირდება 21 წლის ასაკის შემდეგ და შეადგენს დაახლ. 1,5 პროცენტს.

ბავშვებისა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი არანუკლეარულ შინამეურნეობაში ცხოვრობს, 0-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის 1 457 628 წარმომადგენლიდან, 596 919 ცხოვრობს ნუკლეარულ შინამეურნეობაში⁸, 844 290 ცხოვრობს არანუკლეარულ შინამეურნეობაში, ხოლო 16 419 - ერთ მშობელთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების წილი იცვლება ასაკის მატებასთან ერთად. 1 წლის


გრაფიკი 2.13: 0 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდები, შინამეურნეობაში მშობლებთან ერთად ცხოვრების ჭრილში




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

⁸ნუკლეარული შინამეურნეობა წარმოადგენს ქვევით მოყვანილი ტიპებიდან ერთ-ერთი ტიპის შინამეურნეობას: (ა) დაქორწინებული წყვილი, ბავშვების გარეშე; (ბ) დაქორწინებული წყვილი, ერთი ან რამოდენიმე ბავშვით (ბავშვები არ იმყოფებიან ქორწინებაში); (გ) მამა, ერთი ან რამოდენიმე ბავშვით (ბავშვები არ იმყოფებიან ქორწინებაში); (დ) დედა, ერთი ან რამოდენიმე ბავშვით (ბავშვები არ იმყოფებიან ქორწინებაში) (გაერო, 2008 წ.).

გრაფიკი 2.14: 15 – 29 წლის ასაკის მართო მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი, სქესის მიხედვით



გრაფიკი 2.15: 0 – 29 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი შინამეურნეობის ტიპების მიხედვით



ასაკში ბავშვების მხოლოდ 27,6 პროცენტი ცხოვრობს ნუკლეარულ შინამეურნეობაში. აღნიშნული პროცენტული წილი ეტაპობრივად იზრდება და 16 წლის ასაკის ახალგაზრდებში 51,4 პროცენტს აღწევს, რის შემდეგაც იწყება

ამ მაჩვენებლის ეტაპობრივი კლება და 29 წლის ასაკის ახალგაზრდებში 39,4 პროცენტს შეადგენს.

3. განათლება

განათლება გარდაქმნის ადამიანის ცხოვრებას და საზოგადოების მიმდინარე და მომავალი განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების საჭირო უნარებითა და ცოდნით აღჭურვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რაც მათ ეხმარება გახდნენ ძლიერი ლიდერები, სათავეში ჩაუდგნენ და წარმატებით მართონ ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური სფეროები. საქართველოს მთავრობა აღიარებს განათლების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში. განათლების სისტემის პრინციპები და პრიორიტეტები ჩამოყალიბებულია 2004 წლის დოკუმენტში „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილებით №84/10/2004 და აგრეთვე ზოგადი განათლების შესახებ კანონში, რომელიც 2005 წელს იქნა მიღებული (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, 2015). საქართველოში დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. განათლების შესახებ საქართველოს კანონში ნათქვამია, რომ მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში. ყოველ მშობელს აქვს უფლება, სასკოლო ასაკს მიღწეული ბავშვის განათლების დასაფინანსებლად მიიღოს ვაუჩერი (მუხლი 22). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება: „ამ მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უფლება ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო

ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე. იმ ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომელთაც ზოგადი განათლების მიღების უფლების საკითხი არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით, საქართველოს სახელმწიფო დაფინანსება განისაზღვრება ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.“ (მუხლი 22.7). აღნიშნულ კანონში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართულობას განათლების პროცესში, თანატოლებთან ერთად.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს თითოეულ გამოკითხულ პირს პასუხი უნდა გაეცა განათლების დონესთან დაკავშირებულ სამ კითხვაზე: 1) დადის თუ არა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში? (სკოლამდელი ასაკის მოსახლეობაში), 2) ამჟამად სწავლობს თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში? და 3) განათლების მიღწეული დონე (10 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში). მოცემული სამი კითხვიდან პირველ კითხვაზე მიღებული პასუხების ანალიზი არ შედის წინამდებარე ანგარიშის მიზნებში, რადგან იგი მცირეწლოვან ბავშვებს ეხება. მეორე კითხვაზე გაცემული პასუხები გვაძლევს ინფორმაციას ახალგაზრდების მიერ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის შესახებ; ხოლო მესამე – ახალგაზრდების მიერ განათლების მიღწეული დონის შესახებ.

3.1 სკოლაში (გაკვეთილებზე) დასწრება

სკოლაში დასწრების დონე განსაზღვრავს სასკოლო ასაკის პირთა მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. წმინდა დასწრების კოეფიციენტი გვიჩვენებს სასკოლო ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის დონეს განათლების სისტემის იმ ოფიციალურ საფეხურზე, რომელიც მათ ასაკს შეესაბამება.

⁹ წმინდა დასწრების კოეფიციენტის ვარდა, შესაძლებელია ასევე დასწრების მთლიანი კოეფიციენტის გამოთვლა. დასწრების მთლიანი კოეფიციენტი (GAR) წარმოადგენს განათლების მოცემულ საფეხურზე საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობას – ასაკის მიუხედავად – და იანგარიშება, როგორც ოფიციალურ სასკოლო ასაკის მოსახლეობაში განათლების ნებისმიერ საფეხურზე სტუდენტების მთლიანი რაოდენობის პროცენტული წილი. ვინაიდან ამ კოეფიციენტის შინაარსის ასხნა უფრო რთულია (და შესაძლებელია მთლიანობაში 100 პროცენტსაც კი გადააჭარბოს), მისი გამოყენება წინამდებარე ანალიზისთვის არ არის მიზანშეწონილი.



წმინდა დასწრების კოეფიციენტი განათლების სამი საფეხურის მიხედვით იანგარიშება:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასწრების დონე: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდათა რიცხოვნობა გაყოფილი 15-17 წლის ასაკის ახალგაზრდების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საბაკალავრო პროგრამებში წმინდა დასწრების კოეფიციენტი: საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა რაოდენობა გაყოფილი 18 – 20 წლის ასაკის ახალგაზრდების საერთო რაოდენობაზე;

და გ) სამაგისტრო პროგრამებში წმინდა დასწრების კოეფიციენტი: სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა რაოდენობა გაყოფილი 22 - 24 წლის ასაკის ახალგაზრდების საერთო რაოდენობაზე.

გრაფიკზე 3.1 ნაჩვენებია წმინდა დასწრების დონე ორივე სქესისთვის და, ასევე, ცალ-ცალკე ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალებისთვის. საქართველოში დაწყებითი საფეხურის შემდგომი ზოგადი განათლება იყოფა ორად: საბაზო განათლება (3 წელი დაწყებითი საფეხურის შემდეგ) და საშუალო განათლება (3 წელი საბაზო საფეხურის შემდეგ). გრაფიკზე 3.1 ნაჩვენებია, რომ 15 – 17 წლის ასაკის ყოველი ოთხი ახალგაზრდიდან დაახლ. სამი სწავლობს საშუალო სკოლაში. ახალგაზრდა ქალების დასწრების მაჩვენებელი ცოტათი აღემატება მამაკაცებისას: 76,7 და 73 პროცენტი, შესაბამისად. ეს გვაძლევს საშუალო განათლებაში სქესთა თანაფარდობის ინდექსს,¹⁰ რომელიც 1,05-ს ტოლია. 18 – 20 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდების 34 პროცენტი სწავლობს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. განათლების ამ საფეხურზე, სქესთა თანაფარდობის ინდექსი უტოლდება 1,32-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ 18-20 წლის ასაკობრივ ჯგუფში, უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ბაკალავრის ხარისხის

მოსაპოვებლად ყოველ 100 მოსწავლე მამაკაცზე მოდის 132 ქალი. 22 - 24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდების 2,8 პროცენტი სწავლობს მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. უმაღლესი განათლების ამ საფეხურზე, ქალებს წილი აღემატება მამაკაცებისას და შესაბამისად, სქესთა თანაფარდობის ინდექსი შეადგენს 1,38-ს. მამაკაც სტუდენტებთან შედარებით, სტუდენტ ქალთა სიჭარბის თვალსაზრისით საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს. ევროსტატის თანახმად, ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში, უმაღლესი განათლების საფეხურზე მოსწავლეთა 54,3 პროცენტს ქალები შეადგენენ. მდედრობითი სქესის ახალგაზრდების წილი უფრო მაღალია სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა შორის (57,4 პროცენტი), ვიდრე საბაკალავრო პროგრამებში. უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მდედრობითი სქესის სტუდენტების ყველაზე მაღალი წილი ფიქსირდება პოლონეთში, შვედეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც სტუდენტების დაახლ. 60 პროცენტს ქალები შეადგენენ (ევროსტატი, 2015).

3.2 სკოლაში სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა

სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა წარმოაჩენს თუ საშუალოდ რამდენ წელს დაუთმობს სწავლა-განათლებას გარკვეული ასაკის პირი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. სკოლაში სწავლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლის მსგავსია და იანგარიშება სასკოლო ასაკის თითოეული წლის წმინდა დასწრების კოეფიციენტების შეკრების საფუძველზე. კონკრეტული ასაკისათვის წმინდა დასწრების კოეფიციენტის გამოანგარიშება წარმოებს განათლების პროცესში ჩაბმული მოცემული


¹⁰ სქესთა თანაფარდობის ინდექსი განსაზღვრავს განათლების მოცემულ საფეხურზე სავანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბმული მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა შორის თანაფარდობას.

წლოვანების პირთა რაოდენობის გაყოფით მოსახლეობაში ამ წლოვანების პირთა სრულ რაოდენობაზე. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს არა დასწრების კოჰორტული მონაცემების, არამედ დასწრების პერიოდების შესაბამისი მონაცემების გამოყენებას.


გრაფიკზე 3.2 ნაჩვენებია წმინდა დასწრების დონე, სქესისა და კონკრეტული წლოვანების მიხედვით, 6 წელზე უფროსი ასაკის პირებისათვის. ბოლო კატეგორია '31+' მოიცავს 31 წლისა და უფროსი ასაკის პირებს. გრაფიკზე ნაჩვენებია, რომ 7-13 წლის ასაკობრივ ჯგუფში, დასწრების დონე 99 პროცენტს შეადგენს: 14 წლის ასაკის ახალგაზრდებში აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ მაღალია და შეადგენს 98,8 პროცენტს.

14 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში, დასწრების დონე მკვეთრ ვარდნას განიცდის. 18 წლის ასაკის ახალგაზრდების 52,1 პროცენტი განაგრძობს სწავლას. 18 – 22 წლის ახალგაზრდებში, ქალების სკოლაში დასწრების დონე აღემატება მამაკაცებისას. სქესთა შორის სხვაობა განსაკუთრებით იკვეთება 19 წლის ახალგაზრდების ჯგუფში: ქალების 49,9 პროცენტი განაგრძობს სწავლას, მამაკაცების 37,4 პროცენტთან შედარებით. დასწრების დონის თვალსაზრისით, სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა შორის სხვაობა განათლების მოსალოდნელი ხანგრძლივობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რომლის გამოანგარიშებაც შესაძლებელია ნებისმიერი ასაკისათვის.

გრაფიკი 3.1: წმინდა დასწრების კოეფიციენტი, განათლების საფეხურისა და სქესის მიხედვით



გრაფიკი 3.2: დასწრების კოეფიციენტი, სქესისა და ასაკის მიხედვით




გრაფიკზე 3.3 მოცემულია სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 6, 10, 15 და 20 წლის ასაკის მამაკაცებისთვის, ქალებისთვის და ორივე სქესისათვის. საქართველოში, 6 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა საშუალოდ 13,7 წელს შეადგენს. გოგონების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი (14 წელი) მცირედით აღემატება ვაჟებისას (13,4 წელი). 10, 15 და 20 წლის ასაკში, ქალების სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა მცირედით აღემატება ვაჟებისას. 10 წლის ასაკისთვის, გოგონების სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა საშუალოდ 10,1 წელს შეადგენს მაშინ, როცა ვაჟებისთვის ეს მაჩვენებელი 9,5 წელს შეადგენს. ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ბავშვი სკოლაში დადის 14 წლის ასაკამდე, ნიშნავს იმას, რომ 15 წლის ასაკში, სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 5 წლით ნაკლებია, ვიდრე 10 წლის ასაკში. ვინაიდან ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობა წყვეტს სწავლას 15 - 20 წლის ასაკში, სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 20 წლის ასაკის ახალგაზრდებისათვის, 1 წელზე ცოტა მეტს შეადგენს.

გრაფიკზე 3.4 შედარებულია სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა რეგიონის

სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა, ამგვარი შედარებისას, საჭიროა გათვალისწინებული იქნას ის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში განათლების ხანგრძლივობა სხვადასხვაგვარად განიმარტება. განათლების ინდიკატორების ტექნიკურ სახელმძღვანელოში (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, 2009) ნათქვამია, რომ „ქვეყნების მონაცემების ერთმანეთთან შედარებისას საჭიროა სიფრთხილე, ვინაიდან ქვეყნებს შორის განსხვავება არსებობს არა მარტო სასწავლო წლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, არამედ ასევე განათლების ხარისხის თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებელი უშუალოდ არ ითვალისწინებს სასწავლო წლის გამეორების გავლენას განათლების ხანგრძლივობაზე, საფეხურიდან საფეხურზე ავტომატური გადასვლის პრაქტიკის მქონე ქვეყნების შედარება იმ ქვეყნებთან, რომლებშიც არსებობს სასწავლო კურსის გამეორების პრაქტიკა, უშედეგოა“. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ქვეყნებს შორის შედარებისას იჩენს თავს არის ის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებით საფეხურამდელი განათლება ითვლება განათლების წლებში, ზოგიერთში

გრაფიკი 3.3: სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა, სქესისა და ასაკის მიხედვით (6, 10, 15 და 20 წლის პირებისთვის)



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

კი - არა. მეზობელ ქვეყნებთან შედარებისას, საქართველო, სკოლაში სწავლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ერთგვარ დაბალ საფეხურზე იმყოფება, სომხეთთან და მოლდავეთთან ერთად. ამასთან, მოლდავეთს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს - 11,6 წელი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თურქეთში დაფიქსირდა; აქ სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 16,4 წელს შეადგენს. თუმცა ეს მაჩვენებელი გარკვეულ ეჭვს ბადებს, ვინაიდან ერთი წლით ადრე - 2013 წელს, სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა თურქეთში შეადგენდა 14,4 წელს, ანუ სრული ორი წლით ნაკლებს.


3.3 სასწავლო პროცესში მონაწილეობა, დაწესებულების ტიპის მიხედვით

შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია ახალგაზრდების განაწილება სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რის შესახებ ინფორმაციასაც მოსახლეობის აღწერა გვაწვდის. ამ მიმართულებით მონაცემების ანალიზი განხორციელდა ასაკობრივი დანაწილების საერთაშორისო

და ეროვნული მიდგომების (15-24 წელი და 15-29 წელი) გათვალისწინებით და, ასევე, სქესის მიხედვით. 15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შედარებით მეტი ახალგაზრდა მამაკაცი წყვეტს სწავლას, ვიდრე ახალგაზრდა ქალი (56,9 და 53 პროცენტი, შესაბამისად. იხ. გრაფიკი 3.5). მამრობითი და მდედრობითი სქესის ახალგაზრდათა მეტ-ნაკლებად თანაბარი პროცენტული რაოდენობა (22,4 პროცენტი) სწავლობს საშუალო განათლების დაწესებულებებში. საბაკალავრო პროგრამებში სტუდენტი ქალების პროცენტული წილი აღემატება მამაკაცებისას (17,8 და 14,2 პროცენტი, შესაბამისად). თუმცა, სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამებში ჩართულ ახალგაზრდებს შორის უფრო მეტი ახალგაზრდა მამაკაცია, ვიდრე ქალი (3,7 და 1,2 პროცენტი, შესაბამისად).


თუ ასაკობრივ კატეგორიას 29 წლამდე გავაფართოვებთ (იხ. გრაფიკი 3.6), დგინდება, რომ მოსახლეობის აღწერის პერიოდისათვის, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობა აღარ იყო ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

გრაფიკი 3.4: ქვეყნების შედარება სკოლაში სწავლის ხანგრძლივობის მიხედვით; დაწყებითი განათლებიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა; იუნესკო, თარიღი უცნობია

გრაფიკი 3.5: 15 – 24 წლის ასაკის მოსწავლე/სტუდენტი ახალგაზრდები საქართველოში, სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით



გრაფიკი 3.6: საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბმული 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდები საქართველოში, სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით



3.4 განათლების მიღწეული დონე

ინდივიდის მიერ დასრულებული განათლების უმაღლესისაფეხური მიიჩნევა მისი განათლების მიღწეულ დონედ. ჩვეულებრივ, განათლების მიღწეული დონე ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის დასაქმების პერსპექტივაზე და მომავალში მის სოციალურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, განათლების მაღალი დონე ასოცირდება ჯანსაღი ცხოვრების წესთან, ძალადობისა და დანაშაულის ნაკლებობასთან, გაზრდილ სამოქალაქო ჩართულობასთან და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებთან. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განათლება დიდ როლს თამაშობს მდგრადი განვითარების გეგმების განხორციელების საქმეში. ამის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის ამოცანა 4.4. მიზნად ისახავს „2030 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდოს იმ ახალგაზრდებისა და ზრდასრულების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დასაქმებისათვის, ღირსეული სამუშაო ადგილებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო და შესაბამისი უნარები, მათ შორის ტექნიკური და პროფესიული უნარები“ რაც მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, თარიღი უცნობია).

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს გამოყენებული იყო განათლებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების უჩვეულო კომბინაცია, ვინაიდან კითხვარში პასუხების კატეგორიას დაემატა „წერა-კითხვის უცოდინარი“. პასუხებში ამ კატეგორიის დამატებამ გამოიწვია ის, რომ განათლების მიღწეული დონის შესახებ პასუხები უკვე აღარ იყო ურთიერთგამომრიცხავი. მაგალითად პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ განათლება, მაგრამ ავადმყოფობისა


ან უბედური შემთხვევის გამო აღარ ფლობენ კითხვის ან წერის უნარს, შესაძლებელია ორივე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ; ე.ი. ჰქონდეთ განათლების გარკვეული დონე და ამავე დროს ამჟამად არ ფლობდნენ წერა-კითხვის უნარს. შესაბამისად, ამგვარად ფორმულირებულ კითხვაზე პასუხები შეუძლებელია გამოვიყენოთ ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინრობის დონის შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, მოცემული ანგარიში არ მოიცავს ახალგაზრდებში წერა-კითხვის უცოდინრობის დონის ანალიზს.

საქართველოს მომავალი სამუშაო ძალის დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. გრაფიკი 3.7 ასახავს საქართველოს მთლიანი მოსახლეობის განათლების მიღწეულ დონეს, სქესის მიხედვით. აქვეა მოცემული 25-29 წლის ასაკის მოსახლეობის და 30-74 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განათლების დონე.


საქართველოში ძალიან მცირეა დაწყებითი განათლების არმქონე პირთა რაოდენობა. 25-64 წლის ასაკის მთლიანი მოსახლეობიდან დაახლ. 5 000-მა მიუთითა, რომ მათ არ ჰქონდათ მიღებული დაწყებითი განათლება, თუმცა შეეძლოთ წერა და კითხვა. ამ ჯგუფის დაახლ. 6 000-მა პირმა კი განაცხადა, რომ იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი. 25-29 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება (109 000 პირი). ამჟამად, 25-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში 755 000 პირს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ხოლო 482 000 პირს - პროფესიული განათლება. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად ირკვევა, რომ განათლების მიღწეული დონე ახალგაზრდა თაობაში უფრო მაღალია, ვიდრე წინა თაობაში. გრაფიკზე 3.8 ნაჩვენებია უმაღლესი განათლების მქონე პირთა

3. ბანათლება

გრაფიკი 3.7: მოსახლეობის რიცხოვნობა, განათლების მიღწეული დონის მიხედვით (25-29 წლის ასაკის მოსახლეობისა და 30-74 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის)



გრაფიკი 3.8: უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი, სქესისა და ასაკის მიხედვით



პროცენტული წილი, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ბუნებრივია, რომ მცირეწლოვნებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი ძალიან დაბალია, ან საერთოდ არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ასაკში ახალგაზრდას ჯერ არ დაუსრულებია სწავლა.

25-29 წლის წლის ასაკის ახალგაზრდებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი (39,8 პროცენტი) თითქმის ემთხვევა 30 – 39 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირებულ ანალოგურ მაჩვენებელს, თუმცა საგრძნობლად აღემატება 40-49 წლის ასაკობრივი ჯგუფისას (33,7 პროცენტი). ასაკის


მატებასთან ერთად მცირდება უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი მოცემული ასაკობრივი ჯგუფის შიგნით. უმაღლესი განათლების მიღწეული დონის მხრივ, ქალების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცებისას. 25 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქალების 44,1 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება მაშინ, როცა მამაკაცების მხოლოდ 35,5 პროცენტია უმაღლესი განათლებით, სხვაობა მათ შორის 8,6 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის თვალსაზრისით სქესთა შორის სხვაობა შედარებით ნაკლებია უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის. 30 – 39 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვაობა შეადგენს 6,2 პროცენტს. 50 – 59 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვაობა უმნიშვნელოა, ხოლო 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში.

განათლების მიღწეული დონის თვალსაზრისით ახალგაზრდა ქალების მაღალი მაჩვენებელი არ შემოიფარგლება მხოლოდ უმაღლესი განათლებით. პროფესიული განათლების მქონე პირების პროცენტული წილი ასევე უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. 20 – 24 წლისა და 25 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში,

პროფესიული განათლების მხრივ უფრო მაღალი პროცენტული წილი მოდის ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე (იხ. გრაფიკი 3.9). პროფესიული განათლების მქონე პირების პროცენტული წილი გაცილებით მაღალია უფროსი ასაკის თაობაში, ვიდრე ახალგაზრდებში, რაც აშკარად მიუთითებს ახალგაზრდებში პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე გადასვლის ტენდენციაზე.

გრაფიკებზე 3.10 და 3.11 ნაჩვენებია განათლების მიღწეული დონე საქართველოს საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. საქალაქო დასახლებებში განათლების დონე უფრო მაღალია ახალგაზრდებში, უფროს თაობებთან შედარებით. მაგ., 25-29 წლის ასაკის ახალგაზრდების დაახლ. ნახევარს, ანუ 86 000 პირს, მიღებული აქვს უმაღლესი განათლება მაშინ, როცა 60 – 64 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტია უმაღლესი განათლებით (45 000 პირი). რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქაც, უმაღლესი განათლების მქონე პირების პროცენტული წილი უფრო მაღალია ახალგაზრდებში, ვიდრე უფროს თაობაში, თუმცა ახალგაზრდებს შორის უმაღლესი განათლება მხოლოდ 20 პროცენტს აქვს. ყველაზე ფართოდ

გრაფიკი 3.9: პროფესიული განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი, სქესისა და ასაკის მიხედვით




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

3. განათლება


გავრცელებული განათლების დონე სოფლის მოსახლეობაში არის საშუალო განათლება მაშინ, როცა საქალაქო დასახლებებში ყველაზე

გავრცელებულია უმაღლესი განათლება.

გრაფიკი 3.10: საქალაქო დასახლებებში მცხოვრები, 25 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით



გრაფიკი 3.11: სასოფლო დასახლებებში მცხოვრები, 25 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით



4. ახალგაზრდები და სამუშაო ძალა

განათლები მიღების შემდეგ შრომის ბაზარზე შესვლა ყველა ახალგაზრდის წინაშე მდგარი გამოწვევაა. განათლების დასრულების შემდეგ სამუშაოს ძიება მაღალკონკურენტულ შრომის ბაზარზე, ბევრი ახალგაზრდისთვის არის როგორც საინტერესო, ასევე იმედგაცრუებებით სავსე ეტაპი მათ ცხოვრებაში. მოსახლეობის აღწერა მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

4.1 ეკონომიკური აქტიურობა


საერთაშორისო განმარტების თანახმად, ეკონომიკურად აქტიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც არიან დასაქმებული და ისინიც, ვინც არ არიან დასაქმებულნი. აღწერამ გამოავლინა 15 წლისა და უფროსი ასაკის 1 924 773 პირი, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შეადგენს და 992 641 პირი, რომლებიც არ არიან ეკონომიკურად აქტიურები; შესაბამისად, მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური პირების წილი 66 პროცენტის ტოლია. სოფლის მოსახლეობაში

ეკონომიკური აქტიურობის დონე (74,3 პროცენტი) მნიშვნელოვნად აღემატება საქალაქო დასახლებების მცხოვრებთა ეკონომიკური აქტიურობის დონეს (59,5 პროცენტი).

გრაფიკზე 4.1 ნაჩვენებია 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის გადანაწილება 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ტიპურია, რომ 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეკონომიკური აქტიურობა ყველაზე ნაკლებად შეინიშნება. 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში მკვეთრად იზრდება დასაქმების დონე. 55 წლის ზემოთ, ბევრი ადამიანი წყვეტს მუშაობას და ასაკოვანი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული.

გრაფიკზე 4.2 ნაჩვენებია ახალგაზრდების სამუშაო ძალაში შესვლის ასაკი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. 15 წლის ასაკში ახალგაზრდების 5,9 პროცენტი ეკონომიკურად აქტიური. ამასთან, მამაკაცების მაჩვენებელი მცირედით აღემატება ქალებისას (6,6 და 5,1

გრაფიკი 4.1: მოსახლეობის რიცხოვნობა, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისა და ეკონომიკური აქტიურობის სტატუსის მიხედვით




პროცენტი, შესაბამისად). 15 წლის ასაკის შემდეგ, ახალგაზრდების სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი¹¹ სწრაფად იზრდება. ყველაზე სწრაფი ზრდა აღინიშნება 17-19 წლის ასაკის ახალგაზრდებში; ასაკის შესატყვისი ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი 17 წლის ასაკში 15,3 პროცენტს შეადგენს, ხოლო 18 წლის ახალგაზრდებში – 31 პროცენტს; ეს მაჩვენებელი კიდევ 10,2 პროცენტული ერთეულით იზრდება 18-დან 19 წლის შუალედში. ზოგადად, მამაკაცები უფრო ადრეულ ასაკში შედიან შრომის ბაზარზე, ვიდრე ქალები. ეს შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა ქალების უფრო მაღალი პროცენტული წილი აგრძელებს სწავლას უმაღლესი განათლების დაწესებულებებში. შრომის ბაზარზე შესვლის მედიანური ასაკი ორივე სქესისათვის 20,4 წელს შეადგენს, ხოლო ცალცალკე აღებული, მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვაობა მედიანური ასაკის თვალსაზრისით, 2 წელია. 19,5 წლის ახალგაზრდა მამაკაცების 50 პროცენტი დასაქმებულია. დასაქმების ამ დონეს

ახალგაზრდა ქალები 21,5 წლის ასაკში აღწევენ. ახალგაზრდა ქალებთან შედარებით, ახალგაზრდა მამაკაცების გაცილებით დიდი პროცენტული წილია დასაქმებული – 29 წლის ასაკში, მამაკაცების 81,3 და ქალების 61,7 პროცენტი დასაქმებული.

გრაფიკზე 4.3 დეტალურად არის ნაჩვენები 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის სტატუსი, სქესის და 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. 15 – 19 წლის ახალგაზრდებში, მამაკაცების 75,4 და ქალების 81,2 პროცენტი არ არის ეკონომიკურად აქტიური. ეკონომიკურად აქტიურ ახალგაზრდებს შორის, უმრავლესობა დაუსაქმებელია (მამაკაცების მთლიანი რაოდენობის 11,1, ხოლო ქალების 9,9 პროცენტი). 20 – 24 წლისა და 25 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში თვალშისაცემია ეკონომიკური აქტიურობის თვალსაზრისით არსებითი განსხვავება ახალგაზრდა მამაკაცებსა და ქალებს შორის. 25 – 29 წლის ასაკობრივ


გრაფიკი 4.2: ეკონომიკური აქტიურობა ასაკისა და სქესის მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

¹¹სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი წარმოადგენს ქვეყანაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის პროცენტულ წილს, რომლებიც ან აქტიურად არიან წარმოდგენილი შრომის ბაზარზე (ანუ არის დასაქმებულები) ან აქტიურად ეძებენ სამუშაოს. (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მისამართი: <https://www.ilo.org/lostai/faces/oracle/webcenter/portalapp/pagehierarchy/> წვდომის თარიღი: 2017 წლის 31 ივლისი

გრაფიკი 4.3: 15 – 29 წლის ასაკის მოსახლეობა ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით



ჯგუფში, ეკონომიკურად არააქტიური ქალების პროცენტული წილი ორჯერ და მეტჯერ აღემატება მამაკაცებისას (36,3 და 16,9 პროცენტი, შესაბამისად). ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული: 25 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, მამაკაცების 16,6 და ქალების 9,9 პროცენტი თვითდასაქმებული მეურნეა. თუმცა დასაქმებულ ახალგაზრდათა ყველაზე დიდი ნაწილი დაქირავებულ მუშაკს წარმოადგენს. გრაფიკზე ასევე ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი დაუსაქმებელია. ვინაიდან აღნიშნული

საკითხი სოციალური თვალსაზრისით აქტუალურია, მომდევნო ქვეთავი დეტალურად განიხილავს ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემას.

4.2 უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის

ბევრი ახალგაზრდისთვის განათლების მიღების შემდეგ სამუშაოს პოვნა რთულია და ბევრის შემთხვევაშიც, სამუშაოს ძიების მცდელობა საწყის ეტაპზე წარუმატებელია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ უახლეს ანგარიშში საუბარია ახალგაზრდების დასაქმების

გლობალურ კრიზისზე¹². 2007 – 2010 წლებში, ეკონომიკური კრიზისის გამწვავების ფონზე, ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ძალიან მაღალი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში, ამ მაჩვენებელმა იკლო. 2012 – 2014 წლებში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე დაახლ. 13 პროცენტს შეადგენდა. 2014 წელს, მსოფლიო მასშტაბით, 73,3 მილიონი ახალგაზრდა იყო უმუშევარი. მდგომარეობის მეტ-ნაკლებად გამოსწორების მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით უმუშევართა საერთო რაოდენობის 36,7 პროცენტს ახალგაზრდები შეადგენდნენ, თუმცა ისინი მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეექვსედს წარმოადგენენ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, “უმუშევრებად ითვლებიან პირები, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებული, სურთ სამუშაოს შოვნა, აქტიურად დაეძებდნენ სამუშაოს ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში და მზად არიან დაიწყონ მუშაობა მომდევნო ორი კვირის განმავლობაში; ან პირები, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებული, დათანხმდნენ დამსაქმებლის შემოთავაზებას და მუშაობას შეუდგებიან მომდევნო ორი კვირის განმავლობაში“. უმუშევრობის დონე არის შრომის ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი და გამოისახება „სამუშაო ძალის სრულ რაოდენობაში უმუშევარ პირთა რაოდენობის პროცენტული წილის სახით“¹³. სამუშაო ძალის სრული ოდენობა დასაქმებული და დაუსაქმებელი პირების ჯამს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობის

2014 წლის აღწერის დროს გამოიყენებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ზემოაღნიშნული განსაზღვრება.

საქართველოში უმუშევრობის დონე მაღალია. მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად, სამუშაო ძალის 16,1 პროცენტი უმუშევარია. უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში და შეადგენს 19 და 13,6 პროცენტს, შესაბამისად. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებით დასტურდება, რომ საქართველოში, ახალგაზრდების უმუშევრობა მწვავე სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. 15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 120 000 ახალგაზრდაა უმუშევარი, მათ შორის 76 000 ახალგაზრდა 15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება (იხ. ცხრილი 4.1). 15 – 24 წლის ახალგაზრდების 36,7 პროცენტი და 15 – 29 წლის ახალგაზრდების 29,6 პროცენტი უმუშევარია. ახალგაზრდა ქალებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცებში: 15–24 წლის ასაკის ახალგაზრდა ქალების 41 პროცენტი უმუშევარია, ხოლო, იგივე ასაკობრივ ჯგუფში, მამაკაცების უმუშევრობის დონე 33,5 პროცენტს შეადგენს.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოთვლისას, ნათლად ჩანს, რომ უმუშევრობა, როგორც მდებრობითი, ასევე მამრობითი სქესის ახალგაზრდებში პიკს 18 წლის ასაკში აღწევს. ფაქტობრივად, ამ ასაკობრივი ჯგუფის ნახევარზე მეტი

ცხრილი 4.1: უმუშევარ პირთა რაოდენობა 15 – 29 წლისა და 15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, სქესის მიხედვით


	უმუშევარი ახალგაზრდები (15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში)			უმუშევარი ახალგაზრდები (15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფში)		
	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
უმუშევარი	59 925	59 638	119 563	39 533	36 189	75 722
სამუშაო ძალა	229 918	173 409	403 327	118 022	88 293	206 315
უმუშევრობის დონე	26,1	34,4	29,6	33,5	41,0	36,7

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

¹² შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (2015), ახალგაზრდების დასაქმების გლობალური ტენდენციები, 2015 წ.: ახალგაზრდებისთვის ღირსეული სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის საქმეში ინვესტიციების გაზრდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ვენეცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2015 წ.

¹³ უმუშევრობის დონე (ინგლისურად), მისამართი: http://www ilo.org/ilostat-files/Documents/description_UR_EN.pdf წვდომის თარიღი: 2017 წლის 31 ივლისი


გრაფიკი 4.4: უმუშევრობის დონე, ასაკისა და სქესის მიხედვით



დაუსაქმებელია: 18 წლის ქალების 57,5 და მამაკაცების 47,8 პროცენტი უმუშევარია. 18 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე თანდათანობით იკლებს, თუმცა ორივე სქესის შემთხვევაში ნარჩუნდება 10 პროცენტზე მაღლა. ეს ტენდენცია გარკვეულ ეტაპამდე უცვლელი რჩება – კონკრეტულად კი, ვიდრე ქალები 60 წელს, ხოლო მამაკაცები

– 52 წლის ასაკს არ მიაღწევენ. ქალებში უმუშევრობის მაღალი დონე იწყება 17 წლის ასაკში და გრძელდება 62 წლის ასაკამდე. 62 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის მაჩვენებლები ქალებსა და მამაკაცებს შორის თანაბარია. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში, ახალგაზრდების უმუშევრობის დონე

გრაფიკი 4.5: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში (15 – 24 წლის ასაკობრივი ჯგუფი); საქართველოს მეზობელი ქვეყნების მონაცემები¹⁴




¹⁴ რუმინეთში ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. გრაფიკზე დატანილია 2014 წლის მონაცემები, გარდა სომხეთისა; სომხეთის მონაცემები ასახავს ქვეყანაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონეს 2013 წლის მდგომარეობით.

ყველაზე მაღალია. გრაფიკზე 4.5 ნაჩვენებია ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე მსოფლიო ბანკის მონაცემებით (მსოფლიო სტატისტიკა, თარიღი უცნობია). სომხეთში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე უახლოვდება საქართველოს მაჩვენებელს, თუმცა ყველა დანარჩენ ქვეყანაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ბევრად ჩამოუვარდება საქართველოს არსებულ სიტუაციას. გრაფიკზე 4.5 მოყვანილ ქვეყნებს შორის ახალგაზრდების უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს მოლდავეთსა (12,2 პროცენტი) და რუსეთს (13,7 პროცენტი).

ახალგაზრდების უმუშევრობის დონის მხრივ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებული სიტუაციაა. გრაფიკზე 4.6 ჩანს, რომ უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია თბილისში, სადაც 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდების 38,3 პროცენტი დაუსაქმებელია. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 29,6 პროცენტს შეადგენს. გარდა თბილისისა,

ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია ასევე მცხეთა-მთიანეთში (34,6 პროცენტი), შიდა ქართლში (31,7 პროცენტი) და იმერეთში (30,9 პროცენტი). ახალგაზრდებში უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, სადაც 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდების 12,7 პროცენტია უმუშევარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი სამჯერ ნაკლებია, ვიდრე თბილისში. ქვეყნის საერთო მაჩვენებელთან შედარებით, ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე კახეთში და სამცხე-ჯავახეთში ნაკლებია. ორივე ზემოაღნიშნულ რეგიონში დაუსაქმებელია 20 პროცენტზე ნაკლები ახალგაზრდა. ცხრილში 4.2 შესულია დეტალური ინფორმაცია ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების, სქესისა და საქართველოს რეგიონების მიხედვით. ცხრილში შესული ჯგუფებიდან, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში მცხოვრებ, 15 – 19 წლის ახალგაზრდა ქალებში ფიქსირდება; მოსახლეობის აღწერის მომენტისთვის, უმუშევრობის დონე ამ ჯგუფში 76,5 პროცენტს შეადგენდა. აღწერამ დაადგინა, რომ თბილისში მცხოვრები 15-19 წლის ასაკის

გრაფიკი 4.6 უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში (15 – 29 წლის ასაკობრივი ჯგუფი), საქართველოს რეგიონების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 4.2: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში, ასაკობრივი ჯგუფების, სქესისა და რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ასაკი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
თბილისი	15 - 19	74,9	73,6	76,5
	20 - 24	42,2	40,8	43,7
	25 - 29	27,1	23,7	30,8
	სულ ახალგაზრდები	38,3	36,0	40,7
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	15 - 19	44,6	42,9	46,7
	20 - 24	30,2	27,3	33,9
	25 - 29	20,7	16,8	25,7
	სულ ახალგაზრდები	27,3	24,0	31,5
გურია	15 - 19	28,9	29,0	28,7
	20 - 24	24,5	22,4	27,7
	25 - 29	19,0	16,6	22,4
	სულ ახალგაზრდები	22,4	20,6	25,1
იმერეთი	15 - 19	43,3	39,3	49,1
	20 - 24	34,4	29,5	41,4
	25 - 29	25,1	20,1	32,2
	სულ ახალგაზრდები	30,9	26,0	37,7
კახეთი	15 - 19	24,4	23,5	26,4
	20 - 24	18,9	15,2	26,1
	25 - 29	12,3	9,3	17,6
	სულ ახალგაზრდები	16,3	13,4	21,8
მცხეთა-მთიანეთი	15 - 19	53,9	50,0	60,6
	20 - 24	39,0	34,7	45,5
	25 - 29	25,9	22,1	31,3
	სულ ახალგაზრდები	34,6	30,8	40,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	15 - 19	16,2	13,3	22,8
	20 - 24	17,4	15,6	20,7
	25 - 29	8,2	8,2	8,1
	სულ ახალგაზრდები	12,7	11,7	14,3
სამეგრელო - ზემო სვანეთი	15 - 19	37,0	34,4	41,1
	20 - 24	29,1	27,1	32,2
	25 - 29	21,3	17,9	26,1
	სულ ახალგაზრდები	26,2	23,5	30,2
სამცხე-ჯავახეთი	15 - 19	20,1	19,5	20,9
	20 - 24	14,8	13,1	17,2
	25 - 29	10,4	8,5	13,0
	სულ ახალგაზრდები	13,2	11,6	15,5
ქვემო ქართლი	15 - 19	31,6	31,2	32,3
	20 - 24	25,5	23,0	29,2
	25 - 29	17,1	13,1	23,2
	სულ ახალგაზრდები	22,3	19,3	26,7
შიდა ქართლი	15 - 19	48,6	43,8	57,8
	20 - 24	34,6	28,6	44,5
	25 - 29	25,2	19,3	34,6
	სულ ახალგაზრდები	31,7	26,1	41,1

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ქალებს შორის სამუშაო ძალა შეადგენდა 6 612 ახალგაზრდას, თუმცა მათი შემაშფოთებლად დიდი რაოდენობა – 5 056, უმუშევარი იყო. თბილისის მსგავსად, უმუშევრობის მაღალი დონე სხვა ჯგუფებშიც დაფიქსირდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ჯგუფის შემთხვევაში აღემატებოდა 50 პროცენტს. მოსახლეობის ის ჯგუფები, რომელთა უმუშევრობის მაჩვენებელი ქვეყნის უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელზე მეტია ცხრილში 4.2 მწვანედ არის აღნიშნული. გასაკვირი არ არის, რომ 15–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე მაღალია, ვინაიდან ამ ჯგუფის მცირე ასაკის წარმომადგენლებს (1) ჯერ არ აქვთ სწავლა-განათლება დასრულებული და (2) არ აქვთ სამუშაო გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე ასევე ძალიან მაღალია 25 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც. გრაფიკზე მოყვანილი ჯგუფებიდან მხოლოდ ერთ ჯგუფში ფიქსირდება 10 პროცენტულ ერთეულზე ნაკლები უმუშევრობის დონე: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მცხოვრები 25–29 წლის ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლებში.


ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე პირდაპირ უკავშირდება მათი განათლების დონეს. გრაფიკზე 4.7 მოცემულია ინფორმაცია განათლების სხვადასხვა დონის მქონე ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შესახებ. ზოგადი (საშუალო) განათლების მქონე

ახალგაზრდებში უმუშევრობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონიტინგის მათი დაახლ. ერთი მესამედი იყო დაუსაქმებელი. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდებში და ასევე მათ შორის, ვისაც ზოგადი განათლების მხოლოდ საბაზო საფეხური აქვთ დასრულებული, უმუშევრობის დონე 30 პროცენტს აღემატება. უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის უმუშევრობა 23,3 პროცენტს შეადგენს. იგივე მაჩვენებელი ფიქსირდება მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე ახალგაზრდებშიც. საქართველოში ძალიან მცირეა იმ პირების რაოდენობა, ვისაც დაწყებითი განათლება არ მიუღიათ. 15–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ რამდენიმე ასეულ პირს არ ჰქონდა მიღებული დაწყებითი განათლება. შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი დიდი მნიშვნელობა მივაკუთვნოთ უმუშევრობის მაღალ მაჩვენებლებს იმ პირთა შორის, რომელთაც არ აქვთ მიღებული დაწყებითი განათლება ანდა არიან წერა-კითხვის უცოდინარნი.

4.3 დასაქმების სფეროები

მოსახლეობის აღწერის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია ახალგაზრდების დასაქმების სფეროების შესახებ. დასაქმების სფეროების კოდირება შეესაბამება

გრაფიკი 4.7: უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში (15–29 წლის ასაკობრივი ჯგუფი), განათლების მიღწეული დონის მიხედვით




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

„დასაქმების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორს“¹⁵. გრაფიკზე 4.8 მოცემულია დასაქმების ის სფეროები, რომლებშიც საქართველოს დასაქმებული ახალგაზრდობის დიდი ნაწილია თავმოყრილი. ყველაზე გავრცელებული საქმიანობის სფერო 15 – 29 წლის ასაკის ორივე სქესის ახალგაზრდებს შორის არის „სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა“. მთლიანობაში 78 473 ახალგაზრდა დასაქმებული იყო ამ სფეროში, მათ შორის იყო 47 950 ახალგაზრდა მამაკაცი და 30 523 ქალი. სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა ასაქმებს საქართველოს ახალგაზრდების უდიდეს წილს და სიდიდით აღემატება მომდევნო ოთხ სფეროში დასაქმებული ახალგაზრდების საერთო რაოდენობას. რიგით მეორე გავრცელებულ სფეროს წარმოადგენს „სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი“ (23 137) და „ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები“ (17 418). ამავდროულად, ბევრ ახალგაზრდას უჭირავს საპასუხისმგებლო თანამდებობა: მათ შორისაა 30 წლამდე

ასაკის 11 000 კორპორაციული მენეჯერი, 8 000-ზე მეტი ახალგაზრდა პედაგოგი და 16 000 ახალგაზრდა, რომელსაც სხვადასხვა პროფესიული თანამდებობა უჭირავს.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს საზოგადოებაში ქალების მდგომარეობა, საჭიროა ხელი შეეწყოს ახალგაზრდა ქალების საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ პოზიციებზე დაწინაურებას. დასაქმების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორში შესული ყველა კატეგორიისთვის გამოთვლილია ქალებსა და მამაკაცებს შორის თანაფარდობა. გრაფიკი 4.9 თვალნათლივ გვაჩვენებს დასაქმების 10 ყველაზე გავრცელებული სფეროდან რომელში აღემატება დასაქმებული ქალების რაოდენობა მამაკაცებისას. აქ ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა ქალები საპასუხისმგებლო და პროფესიულ სამუშაო ადგილებზე არიან დასაქმებულნი. დასაქმების ის ოთხი სფერო, სადაც ქალების მამაკაცებთან თანაფარდობა ყველაზე მაღალია, მოითხოვს მაღალპროფესიულ უნარებსა და

გრაფიკი 4.8: 15–29 წლის ასაკის ახალგაზრდების დასაქმების 10 ყველაზე გავრცელებული სფერო



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

¹⁵დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილ სისტემას, რომელიც გამოიყენება დასაქმების შესახებ აღწერებისა და კვლევების საშუალებით შეგროვილი ინფორმაციის დახარისხებისა და შეჯამებისთვის. დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ვებ-გვერდზე: <http://www.ilo.org/public/english/bureau/stat/isco/isco08/index.htm> წვდომის თარიღი: 2017 წლის 31 ივლისი

განათლების მაღალ დონეს. ზემოაღნიშნული სფეროებიდან, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალი ქალების წილი ამ ასაკობრივ ჯგუფში 5-ჯერ და მეტჯერ აღემატება ამავე სფეროებში დასაქმებული მამაკაცების წილს. უფრო მეტიც, ახალგაზრდა ქალების წილი ოთხჯერ აღემატება მამაკაცებისას დასაქმების ისეთ სფეროებში, როგორცაა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში, სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტები/ინჟინერ-ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტ-პროფესიონალები. ამავედროულად, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მხრივ ახალგაზრდა ქალებს საქართველოში კარგი მდგომარეობა აქვთ, თვალშისაცემია შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით სქესთა შორის არსებული უთანასწორობა, რომელმაც 2015 წელს 40 პროცენტს შეადგენდა. შრომის ანაზღაურებაში გენდერულ სხვაობა წარმოადგენს მამაკაცებისა და ქალების საშუალო ანაზღაურების მაჩვენებლებს შორის სხვაობას და გამოისახება მამაკაცების საშუალო ანაზღაურების პროცენტის სახით (Khitarišvili, 2015).


ზოგადად, თანამდებობა „მენეჯერი“ მამაკაცის საქმიანობის სფეროდ მოიაზრება. მიუხედავად ამისა, რომ კორპორაციული და მთავარი მენეჯერების პოზიციებზე უფრო მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი, მოსახლეობის აღწერის შედეგად ირკვევა, რომ ქალები ამ როლშიც ხშირად ხელმძღვანელ თანამდებობებზე გვევლინებიან. კორპორაციული მენეჯერების პოზიციებზე დასაქმებულ პირებს შორის ქალების მამაკაცებთან თანაფარდობამ 90,2 პროცენტი შეადგინა, ხოლო მთავარი მენეჯერების პოზიციებზე - 73,8 პროცენტი; 30 წლისა და უფროსი ასაკის პირებში აღნიშნული თანაფარდობა შეადგენს 53,4 და 63,7 პროცენტს, შესაბამისად.

მოსახლეობის აღწერის დროს, 1 614 325 პირმა მიუთითა, რომ მუშაობდა. აქედან 283 764 პირი 15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა, რაც დასაქმებული მოსახლეობის


17,6 პროცენტს შეადგენს. დასაქმების თითოეულ კატეგორიაში ახალგაზრდების პროცენტული წილი გვიჩვენებს, დასაქმების თუ რომელი სფერო არის უფრო მიმზიდველი ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად, ახალგაზრდების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი დაფიქსირდა „მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეების“ კატეგორიაში და მათ ამ სფეროში დასაქმებულთა ნახევარი შეადგინეს. ასევე დადგინდა, რომ „შეიარაღებული ძალებში“ დაახლ. 40 პროცენტს ახალგაზრდები წარმოადგენენ. იმ სფეროს მუშაკებს შორის, სადაც განათლების მაღალ დონე აუცილებელია, ანუ „სხვა პროფესიონალები“ - ერთ მეოთხედს ახალგაზრდები შეადგენენ, ისევე, როგორც სფეროში - „ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები“.

ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემა არ შემოიფარგლება უფროსი ასაკის მოსახლეობასთან შედარებით სამუშაო გამოცდილებისა და უნარების ნაკლებობით. მსოფლიო მასშტაბით, ახალგაზრდებს ხშირად ვხვდებით შედარებით დაბალხარისხოვან სამსახურებში. ახალგაზრდებს, შრომის ბაზარზე საკუთარი შესაძლებლობების სრულად განვითარებისთვის, სჭირდებათ ღირსეული სამუშაო, პროფესიული კარიერის საწყისი ეტაპიდანვე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, ღირსეული სამუშაო „გულისხმობს პროდუქტიული და უსაფრთხო შრომისა და სამართლიანი ანაზღაურების პირობების შექმნას, რომელიც მოიცავს ოჯახების სოციალურ დაცვას, პიროვნული განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციის უკეთეს პერსპექტივებს, დასაქმებულებისთვის საკუთარი პრობლემებისა და პრეტენზიების გამოხატვის თავისუფლებას, იმ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უზრუნველყოფას, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე და ყველა ქალისა და მამაკაცისთვის თანაბარი შესაძლებლობისა და მოპყრობის სათანადო პირობების შექმნას“. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა მთელი რიგი კრიტერიუმებისა, რომლებიც განსაზღვრავს

გრაფიკი 4.9: დასაქმების 10 ყველზე გავრცელებული სფერო, რომელშიც დასაქმებული ქალების წილი აღემატება მამაკაცების წილს (15–29 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის)



გრაფიკი 4.10: 15–29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილი კონკრეტულ სფეროში დასაქმებულ პირთა მთლიან რაოდენობაში



ღირსეულ სამუშაოს, დაწყებული სამუშაო საათებით და დამთავრებული თანაბარი შესაძლებლობებითა და უსაფრთხო სამუშაო გარემოთი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2013). სამწუხაროდ, ვინაიდან ეს თემა არ წარმოადგენს მოსახლეობის აღწერის ძირეულ საკითხს, აღწერის

შედეგების გამოყენებით ვერ ხერხდება საკმარისი ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, თუ რამდენად არიან საქართველოს ახალგაზრდები უზრუნველყოფილი ღირსეული სამუშაო პირობებით და მომავალში საჭიროა დამატებითი კვლევების წარმოება ამ მიმართულებით.

5. მონაცვლადი ჯგუფები

5.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი საქართველოში დღემდე ნარჩუნდება უარყოფითი დამოკიდებულება და მიმდინარეობს ამ ჯგუფის საგრძნობი სტიგმატიზაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის მიერ წარმოებული კვლევის (2015) შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობის 41 პროცენტის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი უარყოფითია. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული ორგანიზაციის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების „სტიგმატიზაციას საფუძვლად უდევს ოთხი ძირითადი დამოკიდებულება: რომ ეს ბავშვები არიან „განსხვავებულნი/ არანორმატიულნი“; რომ შეზღუდული შესაძლებლობები საფრთხეს ან გადაადგებ დაავადებას წარმოადგენს; რომ ეს ბავშვები სხვებზე დამოკიდებულნი არიან; და რომ რელიგიური და კულტურულ ნორმები ამ ბავშვებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ამართლებს“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, 2016 წ.). გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ დისკრიმინაცია ვლინდება ფორმალური განათლების სისტემაში, რაც მათ უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს, ადრეული ასაკიდან (Bines & Lei, 2011). მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებული ამგვარი დამოკიდებულება, სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერის ფონზე, ხშირად აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადრეული ასაკიდან განვითარებასა და სრულფასოვნად ცხოვრებას.

მოსახლეობის აღწერის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების

კვლევა წარმოებდა ექვსი კითხვისაგან შემდგარი მოკლე კითხვარის საშუალებით, რომელიც შედგენილია ვაშინგტონის ჯგუფის მიერ და გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის მიზნით. განმარტებები შესაბამისობაშია გაეროს რეკომენდაციებთან და ამით, სხვა ქვეყნების ანალოგურ მონაცემებთან შედარების საშუალებას იძლევა (გაერო, 2008 წ.). შეზღუდული შესაძლებლობის ზემოაღნიშნული საზომის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა უკლებლივ ყველა მოქალაქისთვის. ის იკვლევს იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ისეთ აქტივობებში, როგორცაა განათლება, დასაქმება, ოჯახური ცხოვრება, ისევე, როგორც ამას შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირები ახერხებენ (Madans & Loeb, 2013). პოლიტიკის ფორმულირების თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, უადრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სოციალურ პროცესებში ამ ჯგუფის მონაწილეობას, თანაბარუფლებიანობასა და შესაძლებლობებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას (Madans, Loeb & Altman, 2011. 2, 5).

მოსახლეობის აღწერისას გამოყენებული კითხვები მოიცავდა ვაშინგტონის ჯგუფის მიერ განსაზღვრულ შეზღუდვის/დარღვევის ექვსივე კატეგორიას, ესენია: მხედველობა, სმენა, გადაადგილება/დგომა, ცნობიერება/კონცენტრირება/მეხსიერება, კომუნიკაციის უნარი და თვითმომსახურების უნარი (იხ. გრაფიკი 5.1). გამოკითხულთა პასუხებიდან ვლინდება აბრკოლებს თუ არა ზემოაღნიშნულიდან რომელიმე შეზღუდვა პიროვნების ყოველდღიურ საქმიანობას. კითხვებზე სავარაუდო

პასუხები მოიცავდა: „საერთოდ არა“, „ნაწილობრივ“, „მნიშვნელოვნად“, „სრულად“ და „უარი პასუხზე“. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებად ჩაითვალნენ ისინი, ვინაც განაცხადა, რომ ჰქონდათ „მნიშვნელოვნად“ და „სრულად“ შეზღუდული შესაძლებლობა ვაშინგტონის ჯგუფის მიერ განსაზღვრული შეზღუდვის ექვსივე კატეგორიიდან ერთ ან მეტ კატეგორიაში. ეს შეესაბამება ვაშინგტონის ჯგუფის რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ქვეჯგუფი მოიცავს პირებს, რომლებსაც სულ მცირე ერთი კატეგორიის შემთხვევაში აღენიშნებათ „მნიშვნელოვანი“ ან „სრული“ დარღვევა“ (ვაშინგტონის ჯგუფი, 2010 წ. 2).

შეზღუდული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ასაკზე. ცხრილში 5.1 მოცემულია ასაკობრივ ჯგუფებში კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროცენტული წილი. შეზღუდული შესაძლებლობის თითოეული კატეგორიის შემთხვევაში, ამკარაა, რომ მოცემული შეზღუდვა

პრევალენტურია 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში. 15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში შესაძლებლობების შეზღუდვა უფრო ხშირია, ვიდრე 15 წლამდე ასაკის ბავშვებში, თუმცა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე 30 – 65 წლის ასაკობრივ ჯგუფში. შეზღუდული შესაძლებლობის ყველაზე გავრცელებულ კატეგორიას წარმოადგენს მხედველობის დარღვევა; საქართველოს მოსახლეობის 2,9 პროცენტმა მიუთითა, რომ მათ მხედველობის მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა ჰქონდათ. 15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 0,52 პროცენტს, ანუ დაახლ. ყოველი 200 ახალგაზრდიდან ერთს ჰქონდა მხედველობის გამოხატული დარღვევა. საერთო ჯამში, მოსახლეობის აღწერის ფარგლებში 107 638 პირმა განაცხადა, რომ მათ მხედველობის გამოხატული დარღვევა აწუხებდათ, მათგან 4 019 პირი 15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდა. შეზღუდული შესაძლებლობების მეორე, ფართოდ გავრცელებული კატეგორია, როგორც მთლიან მოსახლეობაში, ასევე ახალგაზრდებშიც, არის გადაადგილების/დგომის და კიბეზე ასვლის შეზღუდვა; 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდების 0,36 პროცენტმა განაცხადა, რომ გადაადგილების/დგომის მნიშვნელოვანი ან სრული დარღვევა აწუხებთ.

გრაფიკი 5.1: კითხვები შეზღუდული შესაძლებლობების თაობაზე




ცხრილი 5.1: შეზღუდული შესაძლებლობები შეზღუდვის კატეგორიისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკი	შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიები					
	მხედველობის დარღვევა	სმენის დარღვევა	გადაადგილების/დგომის დარღვევა	ცნობიერების, კონცენტრირების, მეხსიერების დარღვევა	კომუნიკაციის უნარის დარღვევა	თვითმომსახურების უნარის დარღვევა
0-14	0,31	0,13	0,30	0,18	0,22	0,32
15-29	0,52	0,18	0,36	0,26	0,27	0,32
30-65	2,01	0,56	1,34	0,49	0,43	0,61
65+	12,62	6,75	9,19	3,06	2,27	4,91


წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გრაფიკი 5.2ა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამაკაცების პროცენტული წილი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა/დარღვევა)



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გრაფიკი 5.2ბ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების პროცენტული წილი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (მნიშვნელოვანი ან სრული შეზღუდვა/დარღვევა)



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

5.2 ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყნის განვითარება ძლიერ შეაფერხა სამოქალაქო არეულობამ და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რამაც იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაკადი წარმოშვა. ტუხაშვილის (2013) თანახმად, რომლის კვლევაც ეფუძნება აფხაზეთში, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ 2003 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერას, აფხაზეთი დატოვა 309 000 პირმა (მთლიანი მოსახლეობის 59 პროცენტმა).

ცხრილში 5.2 მოცემულია საქართველოში იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც მოსახლეობის აღწერის შედეგად იქნა განსაზღვრული. 15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ჯამში 40 030 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა იქნა იდენტიფიცირებული, რაც დევნილთა სრული რაოდენობის 21,1 პროცენტს შეადგენს. თუ ახალგაზრდობის საერთაშორისო განმარტებას დავეყრდნობით, რომელიც 15 – 24 წლის ასაკობრივ ჯგუფს მოიაზრებს, მაშინ 26 051 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა იქნა აღწერილი. ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთად, ქალების რიცხოვნობა საგრძნობლად აღემატება

მამაკაცებისას (102 865 და 86 774, შესაბამისად). მაგრამ ახალგაზრდებში, მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა მეტ-ნაკლებად თანაბარია და ქალების რიცხოვნობა მცირედით აღემატება მამაკაცებისას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატის თანახმად, იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობებს განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მათ შორის საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისას. ბევრგან, ახალგაზრდა ქალები დამატებით დაბრკოლებებს აწყდებიან განათლების ხელმისაწვდომობისა და წარმატების მიღწევის მხრივ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატი, 2013). მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად ირკვევა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების სკოლაში დასწრების დონე არ განსხვავდება საქართველოს დანარჩენი ახალგაზრდების მაჩვენებლისგან. დასწრების დონე განისაზღვრა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისთვის (6 – 11 წელი), ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის (12 – 15 წელი) და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისთვის (15 – 18 წელი). აღნიშნული სამი საფეხურიდან არც ერთის

ლტოლვილის/დევნილის სტატუსთან დაკავშირებული კითხვები

10. დევნილის ან ლტოლვილის სტატუსი დიახ არა

10.1 ხართ თუ არა დევნილი ან ლტოლვილი?

10.2 საიდან ხართ დევნილი ან ლტოლვილი?

(მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ქალაქი) (ქვეყანა)


წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 5.2: 15 – 29 წლის ასაკის იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა საქართველოში, ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით

	15-19	20-24	25-29	15 - 24	15 - 29	ყველა ასაკი
მამაკაცი	6 670	6 341	6 617	13 011	19 628	86 774
ქალი	6 363	6 677	7 362	13 040	20 402	102 865
სულ	13 033	13 018	13 979	26 051	40 030	189 639

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გრაფიკი 5.3: საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების კუთხით იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების პროცენტული წილი, განათლების საფეხურის მიხედვით



შემთხვევაში არ დაფიქსირებულა რაიმე სხვაობა განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით იძულებით გადაადგილებული პირებისა და დანარჩენ მოსახლეობას შორის (გრაფიკი 5.5). თუმცა მოსახლეობის აღწერის ფარგლებში არ წარმოებდა იძულებით გადაადგილებულ პირთა აკადემიური მოსწრების შეფასება და სხვა პირებთან შედარება. შესაბამისად, ამ საკითხის შესასწავლად საჭიროა დამატებითი კვლევა.

5.3 ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არის დასაქმებულნი და არ გადიან ტრენინგს/წრთვნას (NEET)

ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შემცირება მდგრადი განვითარების მიზნებშია შესული. მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანა 8.6 გულისხმობს „2020 წლისთვის უმუშევარი, განათლების ან პროფესიული მომზადების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების პროცენტული წილის მნიშვნელოვან შემცირებას.“ დამატებით,

ამოცანა 8.6 უშუალოდ ახალგაზრდებში უმუშევრობის პრობლემას ეხება და მოიაზრებს „2020 წლისთვის, ახალგაზრდების დასაქმების გლობალური სტრატეგიის შემუშავებასა და ამუშავებას და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების საერთაშორისო პაქტის განხორციელებას“ (გაერო, თარიღი უცნობია). ამ კუთხით მიღწეული პროგრესის მონიტორინგის მიზნით, გაეროს სტატისტიკის კომისია შემოვიდა წინადადებით მომხდარიყო დაანგარიშება „15 – 24 წლის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილის, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ, და არ გადიან ტრენინგს/წრთვნას (NEET).

მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე გემოაღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდების პროცენტული წილის გამომგარიშებისას, მცირედი ცდომილება იქნეს თავს, ვინაიდან აღწერის დროს ყურადღება გამახვილებული იყო მხოლოდ ფორმალურ განათლებაზე და არ ითვალისწინებდა არაფორმალური განათლების სფეროს. შესაბამისად, მხოლოდ ფორმალური განათლების მონაცემების საფუძველზე მოცემული მაჩვენებელი


ერთგვარად გაზვიადებული იქნება.

15 – 29 წლის ასაკობრივ ჯგუფში იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET) შეადგენს 37,2 პროცენტს, ორივე სქესისთვის, ჯამურად. ამ ასაკობრივ ჯგუფში ქალების მაჩვენებელი აღემატება მამაკაცებისას: 42,7 და 32 პროცენტი, შესაბამისად. გრაფიკზე 5.4 ნაჩვენებია იმ ახალგაზრდათა პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით. 15 წლის ახალგაზრდებში ამ კატეგორიის პირების წილი 10 პროცენტზე დაბალია, ვინაიდან ამ ასაკის ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობს. 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, აღნიშნული პროცენტული წილი მკვეთრად იზრდება, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში. 20 წლის ასაკში ამ კატეგორიის ახალგაზრდების პროცენტული წილი დაახლ. 40 პროცენტია, ორივე სქესისთვის. 20 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებში ამჟამად ხდება სხვაობა სხვადასხვა სქესის ჯგუფებს შორის. იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), მცირდება და 31 პროცენტს შეადგენს 29 წლის ასაკის მამაკაცებში მამიან, როცა ქალების შემთხვევაში

ეს მაჩვენებელი აგრძელებს ზრდას და 54 პროცენტს აღწევს. აღნიშნული ტენდენცია, ახალგაზრდა ქალებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ფონზე, ამჟამად მიუთითებს იმ სირთულეებზე, რომლების წინაშეც ახალგაზრდა ქალები დგანან შრომის ბაზარზე შესვლის თვალსაზრისით.

სასოფლო დასახლებებში მცხოვრები იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET) მკვეთრად განსხვავდება საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების ანალოგიური მაჩვენებლისაგან (გრაფიკი 5.7). 22 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ამ კატეგორიის ახალგაზრდების პროცენტული წილი უფრო მაღალია სასოფლო დასახლებებში, ვიდრე საქალაქო დასახლებებში. აღნიშნული სხვაობა პიკს აღწევს 19 წლის ახალგაზრდებში, როდესაც სასოფლო დასახლებებში მცხოვრები იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET) შეადგენს 49,7 პროცენტს, ხოლო საქალაქო დასახლებებში - 33,9 პროცენტს. 22 წელზე უფროს ახალგაზრდებში, ამ კატეგორიის ახალგაზრდების პროცენტული წილი თანაბრდება და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში კლებას იწყებს. საქალაქო დასახლებებში ეს მაჩვენებელი მუდმივად

გრაფიკი 5.4: იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), სქესისა და ასაკის მიხედვით




წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მაღალ ნიშნულზე რჩება. ამ კატეგორიის საქალაქო დასახლებებში მცხოვრები 30 წელს მიახლოებული ახალგაზრდების პროცენტული წილი თითქმის 50 პროცენტს აღწევს მაშინ, როცა სასოფლო დასახლებებში მცხოვრები იმავე ასაკის ახალგაზრდების შემთხვევაში, ის 40 პროცენტზე დაბალია. მარტივი არ არის იმის ახსნა, თუ რა იწვევს ამ მაჩვენებლის ვარდნას, თუმცა სავარაუდოდ ეს გამოწვეულია იმით, რომ სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო მარტივად

საქმდებიან სოფლის მეურნეობაში მაშინ, როცა საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს უჭირთ სამუშაოს მოძიება ეკონომიკის სხვა სექტორებში. ხანგრძლივი უმუშევრობა და განათლების პროცესიდან ხანგრძლივი დროით მოწყვეტა სერიოზულ რისკებს შეიცავს. რაც უფრო ხანგრძლივად არის პირი უმუშევარი, მით უფრო რთულდება მისთვის სამუშაოს პოვნა.

გრაფიკი 5.5: იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული (NEET), ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

6. დასკვნა

გარდამავალი ეტაპი, რომლის გადალახვაც ახალგაზრდებს უწევთ ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადასვლამდე, კრიტიკულ ხანაა მათ ცხოვრებაში, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება ის საფუძველი, რომელზეც ახალგაზრდები თავიანთ შემდგომ ცხოვრებას აგებენ. საქართველოში, 15 – 29 წლის ახალგაზრდების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა 1989 წელს, როდესაც მათმა რიცხოვნობამ 1,3 მილიონი შეადგინა. 1989 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში ახალგაზრდების რიცხოვნობა მუდმივად იკლებს და ეს პროცესი, მოსახლეობის დაბერების პარალელურად, ნიშნავს იმას, რომ ახლო მომავალში ახალგაზრდებს ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისა და შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად მეტი ძალისხმევა დასჭირდებათ.

ახალგაზრდები საკუთარ თავში განასახიერებენ საზოგადოების იმედსა და მისწრაფებებს, მაგრამ ზრდასრულობისკენ მიმავალ გზაზე მათ წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებმა გამოავლინა, რომ ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან 15 – 29 წლის ასაკის ახალგაზრდების დაახლ. 30 პროცენტი უმუშევარია. 15–24 წლის ასაკობრივ ჯგუფში 37 პროცენტია დაუსაქმებელი. უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ახალგაზრდა ქალებში, ვიდრე მამაკაცებში: 34 და 26 პროცენტი, შესაბამისად. თუ ეს მაჩვენებელი შენარჩუნდება ახალგაზრდების ცხოვრების პროდუქტიული წლების მანძილზე, საზოგადოება სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, ვინაიდან გართულდება მზარდი რაოდენობით პენსიონერის საჭიროებების დაკმაყოფილება, ისევე, როგორც სხვა სფეროების დაფინანსებაც, მაგ., როგორცაა ჯანდაცვა (Buckley, 2015). სოფლებიდან საქალაქო დასახლებებში ახალგაზრდების შიდა მიგრაცია ამ სიტუაციიდან გამოსავალი

არ არის, რადგანაც საქალაქო დასახლებებში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდების პროდუქტიული სამუშაო წლების მანძილზე, ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის არსებული მაღალი დონე შენარჩუნდება, მაშინ პენსიონერებისა და ჯანდაცვის ხარჯების დაფინანსება უფრო პრობლემატური გახდება, ვინაიდან შემოსავლების მიღების ნაკლები პერსპექტივის მქონე მოსახლეობას მოუწევს იზრუნოს მზარდი რაოდენობის პენსიონერის შენახვაზე (Deloitte, თარიღი უცნობია). გარდა ამისა, ახალგაზრდობაში უმუშევრობა ერთგვარ დაღად შეიძლება იქცეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ხანდაზმულობაში ისინი მიიღებენ ნაკლებ შემოსავალს, გაუჭირდეთ დასაქმება, შეექმნათ ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და, ზოგადად, შეუმცირდეთ ცხოვრებისეული შანსები (McQuaid, 2017). აშკარაა, რომ ახალგაზრდების უმუშევრობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც აწმყოში, ასევე მომავალშიც, ვინაიდან ახალგაზრდების უმუშევრობის შედეგებთან გამკლავებას შესაძლოა ათწლეულები დასჭირდეს. შესაბამისად, საჭიროა ეფექტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომლის მიზანიც იქნება ახალგაზრდა თაობის უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებით.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს შორის არის მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და პირები, რომლებიც არ სწავლობენ და არ არიან დასაქმებული. უმეტეს შემთხვევაში, ამ ჯგუფებში ახალგაზრდა ქალები უფრო მრავლად არიან წარმოდგენილი, ვიდრე მამაკაცები და, ამავდროულად, სწორედ ახალგაზრდა ქალები არიან ყველაზე



დაუცველნი. შესაბამისად, უარესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აქტიური ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც მათ ცხოვრებას ეხება, განსაკუთრებით გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული და ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების გზით. ახალგაზრდების განათლების, პროფესიული მომზადებისა და, საბოლოოდ, მათი დასაქმებისთვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა, სტიგმატიზაციისა და ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების აღმოფხვრა იქნება მყარი გარანტია იმისა, რომ ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთვებიან საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში და მათი მონაწილეობა იქნება შედეგიანი და სიკეთის მომტანი მთლიანად საზოგადოებისთვის.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია საქართველოს ახალგაზრდების მდგომარეობის ზოგადი სურათი, რომელიც ეყრდნობა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ აღწერის შედეგად გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები, გასათვალისწინებელია, რომ ცვლილებები ყოველდღიურად მიმდინარეობს, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე და შესაბამისად, მიზანშეწონილია წინამდებარე ანგარიშში იდენტიფიცირებული გამოწვევების შესწავლისა და დაძლევის გზების მისაკვლევად დამატებითი კვლევების ჩატარება. ეს ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას, რომლის გატარებაც ქვეყნის წარმატებული აწმყოსა და მომავლის გარანტი იქნება.

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

- Bines, H. and Lei, P. (2011). *Disability and education: the longest road to inclusion*. International Journal of Educational Development, 31, 419-424.
- Bloom, D. E., Canning D., and Sevilla J. (2003). *The demographic dividend: a new perspective on the economic consequences of population change*. RAND Population Matters Program MR-1274, Santa Monica CA.
- Bongaarts, J. and Blanc, A.K. (2015). *Estimating the current mean age of mothers at the birth of their first child from household surveys*, in: Population Health Metrics, 2015. Retrieved from <https://pophealthmetrics.biomedcentral.com/articles/10.1186/s12963-015-0058-9>
- Booth, H. (2001). *Trends in mean age at first birth and first birth intervals in the Pacific Islands*, in: Genus, LVII (n 3 – 4), 2001, p. 165 – 190.
- Buckley, P. (2015). Deloitte University Press. *An unbalanced age: effects of youth unemployment on an ageing society*. Retrieved from <https://dupress.deloitte.com/dup-us-en/economy/issues-by-the-numbers/effects-of-youth-unemployment-us.html>
- Eurostat (2015). Tertiary Education Statistics. Table 1. Retrieved from [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Number_of_tertiary_education_students,_2013_\(thousands\)_ET15.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Number_of_tertiary_education_students,_2013_(thousands)_ET15.png)
- Government of Georgia (2014). *Georgian National Youth Policy #553 decree*. Government of Georgia.
- Geostat (2016). 2014 *General Population Census, Main Results, General Information*. National Statistics Office of Georgia, 28.04.2016.
- Guilmoto, C.Z. (2015). *Gender-biased Sex Selection in Georgia*. Context, Evidence and Implications. Tbilisi.
- Hakkert, R. (2017). *Population Dynamics in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data*. Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA.
- Hajnal, J. (1953). *Age at Marriage and Proportions Marrying*, in: Population Studies, vol. 7, no.2 (Nov. 1953).
- International Labour Organization (2015). *Global Employment Trends for Youth 2015: Scaling up investments in decent jobs for youth* / International Labour Office – Geneva: ILO, 2015.
- International Labour Organization (2013). *Decent work*. Retrieved from <http://www.ilo.org/global/topics/decent-work/lang--en/index.htm>
- International Labour Organization (2015). *Global Employment Trends for Youth 2015: Scaling up investments in decent jobs for youth* / International Labour Office – Geneva: ILO, 2015.
- Georgian Centers for Disease Control (NCDC) and Georgian Ministry of Health (MoLHSA) (2000). *Georgia Reproductive Health Survey 1999-2000*.
- Centers for Disease Control and Prevention (CDC), Georgian Centers for Disease Control (NCDC) & Georgian Ministry of Health (MoLHSA) (2005). *Georgia - Reproductive Health Survey 2005*.

- Madans, J.H., Loeb, M., and Altman, B.M. (2011). *Measuring disability and monitoring the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities: the work of the Washington Group on Disability Statistics*. BMC Public Health 11 (4).
- Madans, J.H., and Loeb, M. (2013). *Methods to improve international comparability of Census and survey measures of disability*. Disability and Rehabilitation 35 (13), 1070-1073.
- Mason, A. (2005). *Demographic Transition and Demographic Dividends in Developed and Developing Countries*. NIA, R01-AG025488-01, p.82. Office of the National Economic and Social Development Board.
- McQuaid, R. (2017). *Youth unemployment produces multiple scarring effects*. LSE Blogs. Retrieved from <http://eprints.lse.ac.uk/69950/1/blogs.lse.ac.uk-Youth%20unemployment%20produces%20multiple%20scarring%20effects.pdf>
- National Center for Disease Control and Public Health (NCDC), Ministry of Labor, Health, and Social Affairs (MoLHSA), National Statistics Office of Georgia, Division of Reproductive Health, Centers for Disease Control and Prevention (DRH/CDC) (2012). *Reproductive Health Survey Georgia 2010: Final Report*.
- Ross, J. (2012). *Reproductive Behavior and Needs of Young Women in Georgia*. UNFPA, Tbilisi.
- Serbanescu, F., Imnadze, P., Bokhua, Z., Nutsubidze, N., Jackson, D.B. and Morris, L. (2005). *Reproductive Health Survey Georgia 2005: Preliminary Report*. Atlanta, GA (USA).
- Serbanescu, F., Morris, L., Nutsubidze, N., Imnadze, P. and Shakhnazarova M., (2001). *Women's Reproductive Health Survey Georgia, 1999-2000, Final Report*, Atlanta, GA (USA).
- Shinjiashvili, T. (2006). *Recent Marital Trends in Georgia*. Institute of Demography and Sociology; Sokhumi University, Georgia.
- Khitarishvili, T. (2015). *Gender and Employment in South Caucasus and Western CIS*. Background Paper. Prepared for the UNDP Sub-Regional Conference on Employment: Promoting Job Rich and Sustainable Growth In Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, And Ukraine. UNDP, Tbilisi, Georgia, 28-29 October 2015.
- United Nations Children's Fund (2016). *Georgia's children struggle with stigmatization*. 4 December 2016. Retrieved from https://www.unicef.org/infobycountry/georgia_93385.html
- United Nations Children's Fund (2014). *National Youth Survey: Analysis of the Situation and Needs of Youth in Georgia*. Retrieved from http://unicef.ge/uploads/Final_Eng_Geostat_Youth_SitAN.pdf
- United Nations Population Fund (2014). *Child Marriage in Georgia (Overview)*. Retrieved from <http://eeca.unfpa.org/publications/child-marriage-georgia-overview>
- UNHCR (2013). *A Global Review. UNHCR's Engagement with Displaced Youth*. Dr. Rosalind Evans & Claudia Lo Forte with Dr. Erika McAslan Fraser Social Development Direct. March 2013, Geneva, Switzerland.
- United Nations Department of Economic and Social Affairs (n.d.). *Definition of Youth*. Retrieved from <http://www.un.org/esa/socdev/documents/youth/fact-sheets/youth-definition.pdf>

- United Nations Department of Economic and Social Affairs (n.d.). *World Population Prospects: The 2015 Revision*. Retrieved from World Population Prospects: The 2015 Revision.
- United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (n.d.). *Education: School life expectancy by level of education*. Retrieved from <http://data.uis.unesco.org/index.aspx?queryid=147>
- United Nations (2008). *Principles and Recommendations for Population and Housing Censuses*. Revision 2 ed, Series M No.67/Rev.2. New York: United Nations.
- United Nations (n.d.). *Sustainable Development Knowledge Platform*. Retrieved from <https://sustainabledevelopment.un.org/>
- Van de Kaa, D.J. (1986). *The Idea of a Second Demographic Transition in Industrialized Countries*. Paper presented at the Sixth Welfare Policy Seminar of the National Institute of Population and Social Security, Tokyo, Japan, 29 January 2002.
- Van de Kaa, D.J. (2002). *The Idea of a Second Demographic Transition in Industrialized Countries* Paper presented at the Sixth Welfare Policy Seminar of the National Institute of Population and Social Security, Tokyo, Japan, 29 January 2002.
- Washington Group (2010). *The Measurement of Disability: Recommendations for the 2010 Round of Censuses*. Washington Group on Disability Statistics.
- World Health Organization (2016). *Adolescents: Health Risks and Solutions. Factsheet May 2016*. Retrieved from <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs345/en/>
- World Health Organization (2014). *Adolescent pregnancy. Factsheet September 2014*. Retrieved from <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs364/en/>
- World Health Organization (2016). *Maternal Mortality. Factsheet November (2016)*. Retrieved from <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs348/en/>
- World Health Organization (2011). *Preventing gender-biased sex selection: an interagency statement OHCHR, UNFPA, UNICEF, UN Women and WHO*. Retrieved from http://www.who.int/reproductivehealth/publications/gender_rights/9789241501460/en/
- World Statistics (n.d.). *Unemployment, youth total (% of total labor force ages 15 - 24) (national estimate)*. Retrieved from <http://world-statistics.org/>